# საერთო გაზეთი

№23 (528) • 26 ივნისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


# კურიოზული კატასტროფა





ბატონო ბიძინა, ეს არის კურიოზული კატასტროფა, რომელსაც დიდი პროვოკაციის სუნი უდის თქვენს წინააღმდეგ, ჩვენს წინააღმდეგ, სახელმწიფოს წინააღმდეგ



## ირაკლი კობახიძის თანამდებობიდან წასვლამ შეიძლება ბევრი სირთულე მოხსნას, გიორგი გახარიას თანამდებობიდან წასვლამ კი პირიქით – ბევრი სირთულე გააჩინოს



## „ნაცმოძრაობის“ მორიგი შტურმი საქართველოს დასაპყრობად

## ყეყეჩების „რევოლუცია“

## საქართველოს თალიბანიზაცია და მიშა მშვილდაძე – ქართველი ბინ ლადენი?

# სკამი



### პარლამენტის თავმჯდომარის სკამის მონოლოგი

სკამი ვარ მე, პარლამენტში და პოლიტიკაში ყოფნის საკმაოდ დიდი სტაჟით, უკანალთმცოდნე, უკანალების პროფილით და ვიწრო სპეციალობით და, აქედან გამომდინარე, სკამის მაძიებელთა ფსიქიკას კარგად ვიცნობ.

სკამის მაძიებლები ხომ არ გიყენებენ თქვენ, ბიძიკოებო, საკუთარი ინტერესებისთვის, თქვენ კი თქვენი ახალგაზრდული ასაკის და თქვენი გამოუცდელობის გამო ვერ ხვდებით, რა არამზადებთან გაქვთ საქმე.



## მაქვს ინფორმაცია, რომ ამ აქციებს კვირიკაშვილი და ხაზარაძე აფინანსებენ...

## რატომ არავინ ახსენებს ამ ლონისძიების დამგეგმავს, გივი მიქანაძეს, რომელიც თავის დროზე ადეიშვილის მოადგილე იყო, ახლა კი პარლამენტის აპარატის უფროსია?

# „ნაცმოძრაობის“ მორიგი შტურმი საქართველოს დასაპყრობად

ვახტანგ ხარჩილავა:

**30 წელია ამ გაუმააარ-ჯოს ვუსმენ და ამ გაუმააარ-ჯოთი გამარჯვებული საქართველო, ჯერჯერობით, ვერ ვნახე.**

როგორც ჩანს, მხოლოდ გაუმარ-ჯოს ძახილი არ კმარა ქვეყნის გამარჯვებისთვის, თუ ამ სიტყვას ჭკუა, წინდახედულება, პასუხისმგებლობა და, რაც მთავარია, თავდაუზოგავი შრომა არ მიაყოლე.

ვიღაც-ვიღაცებს დღემდე ჰგონიათ, რომ არც ჭკუაა საჭირო, არც პასუხისმგებლობა, არც წინდახედულება, არც შრომა — მთავარია, რაც შეიძლება ხმამაღლა, რაც შეიძლება ომახიანად იყვირო: გაუმაარ-ჯოს და ქვეყანა დოვლათით აივსება, ოკუპანტი გაიქცევა, ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრება გვეწვევა.

ასე ეგონა იმ თაობას, რომელიც ამ 30 წლის წინათ ხაფი ხმით სკანდირებდა ამ სიტყვას — გაუმაარ-ჯოს, ასე ეგონა მომდევნო თაობასაც და მის შემდგომ მოსულ ახალ თაობასაც.

ყველა თაობა ცდილობდა წინა თაობის ხმა გადაეფარა და უფრო მაღალ რეგისტრში ეყვირა „მაგიური“ სიტყვა — გაუმაარ-ჯოს — ქვეყნის საქმე კი მაინც უკან-უკან მიდიოდა.

მეც და ჩემი თაობის ადამიანებსაც კარგად გვახსოვს ეს უზარმაზარი მასა ამ გაუმარ-ჯოს მოყვირალი და ამ სიტყვით თავმომწონე ადამიანებისა, რომელთა უმრავლესობაც



ისე ჩაინთქა და ჩაიკარგა დროში, რომ ამ ქვეყნისთვის კაპიკის საღირალი არაფერი შეუმატებია თ.

„ზემელიდან“ „ლენინის მოედნამდე“ და უკან, „ლენინის მოედნიდან“ „ზემელამდე“ ნასწავლი პატრიოტობა ისეთივე მოკლე აღმოჩნდა, როგორც მანძილი ამ ორ წერტილს შორის.

20 ივნისს პარლამენტის წინ დაწყებული აქცია, რომელიც ერთი კვირაა გრძელდება, მთავარ ლაიტმოტივად ეს სიტყვა — გაუმაარ-ჯოს გაასხდევდა.

ჩემზე, ადამიანზე, რომელსაც 30 წელიწადზე ერთ უწყვეტ აკორდად გადაჭიმული ეს ფრაზა უამრავჯერ სმენია, ამ სიტყვამ კარგა ხანია დაკარგა ემოციური ზემოქმედების ძალა.

ის გაცვდა, გაილია და პროცესების რაღაცნაირ სავალდებულო დანამატად იქცა, რომელსაც ყურიც, გულიც და გონებაც ისე შეეჩვია, რომ მასზე ადექვატურ რეაგირებას, ფაქტობრივად, არც ვახდენთ.

იმდენი ტრიბუნა, იმდენი აქცია, იმდენი მიტინგი, იმდენი მეგაფონი, იმდენი მიკროფონი გამოიცვალა ამ სიტყვამ და იმდენი დამარცხება მოიყოლა თან, რომ ის უკვე არ აღიქმება გამარჯვების მაუწყებელ საკრალურ სიტყვად.

20 ივნისს დაწყებული აქციების მონაწილეები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან, ასაკით ამ სიტყვის ასაკზე გაცილებით უმცროსები და, ამდენად, მათ, შეიძლება, ვერც გაიგონ და ვერც მიხვდნენ, რას ვამბობ და რას ვეუბნები, მაგრამ იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ნახევარი საუკუნე უკვე მოილიეს და რომლებიც უშუალო თანამონაწილენი, მოწმეები და თვითმხილველები არიან ქვეყნის მიერ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე გამოვლილი გზისა. დარწმუნებული ვარ, მიმიხვდებიან, რისი თქმაც მინდა.

— საქართველოს გაუმარ-ჯოს! — ეს თავისი შინაარსით და სულისკვეთებით ამაღელვებელი და სულით ხორცამდე შემძვრელი ფრაზა იმდენი ფარისევლის, ავაზაკის, იმდენი სალახანისა და ავანტურისტის ბაგეთაგან ითქვა და იმდენჯერ იქნა გამოყენებული საქართველოს დასამარცხებლად და დასაბეჩავებლად, რომ პირადად ჩემთვის და, ალბათ, საქართველოს ბევრი მოქალაქისთვისაც, ის ვინმეს პატრიოტობის და გულწრფელი მამულიშვილობის დამადასტურებელ უტყუარ საბუთად ვერ გამოდგება.

აქედან გამომდინარე, პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებმა რაც უნდა ხმამაღლა და



**ბიძინა ივანიშვილი კი არა, სწორედ თქვენ ხართ წმინდა წყლის რუსული ძალა, ნაცებო, სწორედ თქვენ ხართ რუსეთის მეხუთე კოლონა და სწორედ თქვენ ცდილობთ რუსული ინტერესების გატარებას ამ ქვეყანაში. ბიძინა ივანიშვილის არსებობა კი ამ სანუკვარი მიზნების განხორციელებაში ხელს გიშლით.**

შთამბეჭდავად თქვან, რა ინტენსივობითაც უნდა თქვან ეს ფრაზა — საქართველოს გაუმარ-ჯოს, ეს მათი პატრიოტობის ეჭვმიუტანელი დოკუმენტი ვერ იქნება.

ვერ დავეთანხმები „რუსთავი-2“-ის, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიებისა და მათი თანამოაზრეების მიერ შემოგდებულ ვერსიას, რომ პარლამენტის წინ სრულიად აპოლიტიკური, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდები დგანან, რომლებსაც არაფერი უნდათ, გარდა სამშობლოს უანგარო და გულწრფელი მსახურებისა.

კი, მაგრამ, რას ნიშნავს აპოლიტიკური, როცა აქციაზე ის პოლიტიკური განცხადებები ისმის, რომლებსაც დიდი ხანია, ე.წ. ოპოზიციური პარტიები აჟღერებენ?

მომიტინგეთა ლიდერები გვარწმუნებენ, რომ აქციებს პოლიტიკოსებს არ აკარებენ და ამის დასამტკიცებლად აქციიდან ხან ვაშაძის, ხან უგულავას, ხან ბოკერიას გაგდების სცენას გაითამაშებენ, რომ ამ თვალთმაქცობით დაგვაჯერონ, თითქოს პროცესებს მხოლოდ თვითონ მართავენ დამოუკიდებლად და არავის არაფერს ეკითხებიან, ეს მათგან „გაგდებული“ პოლიტიკოსები კი იქვე, შორიახლოს დასუნსულებენ ცხვრის ქურქში გახვეული მგლებივით და სიტუაციას „ალივერებენ“.

მართალია, მიკროფონთან მიშა (სააკაშვილი), არ დგას, მაგრამ დგას მეორე მიშა (მშვილდაძე), „რუსთავი-2“-ის პროდიუსერი, ნიკუტა გვარამიას ძმა და მეგობარი, პირწავარდნილი ნაცი, თავის სეხნიასავით ისიც ცოტათი ჭკუიდან გადაქანებული, რომელიც ახალგაზრდების ბელადის და წინამძღოლის როლს თამაშობს.

**მშვილდაძე ჩვეულებრივი მღვდელი გაპონია, რომელიც ისე გარეკავს ამ ახალგაზრდებს სასაკლაოზე, წარბიც არ შეუტოკდება.**

მღვდელი გაპონები არიან კულისებში მიმალული ვაშაძეები და უგულავები, მელიები და ბოკერიები, ხოშტარიები და სამადაშვილები, რულოვსები და ბაქრაძეები, ხოლო ამ გაპონების მღვდელმთავარი და მთავარეპისკოპოსი სააკაშვილი ღიად და დაუფარავად მოუწოდებს პოლიტიკურ თვალთმაქცობებში გაუცნობიერებელ ახალგაზრდებს, უყოყმანოდ და დაუფიქრებლად წავიდნენ წინ, წინ კი ქაოსი, არეულობა, ძალადობა, დაპირისპირება, ქვეყნის ნგრევა და პარტახია...

„რუსეთი ოკუპანტია“, „არა ოკუპაციას“, ამ ლოზუნგებით ის პოლიტიკური ძალები („ნაცმოძრაობა“ და მისი განაყოფები) ცდილობენ ხელისუფლებაში მობრუნებას, რომლებმაც რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% ხონჩით მიართვეს, თუმცა, სანამ ამას მოიმოქმედებდნენ, ჯერ კოდორის ხეობას გადაარქვეს სახელი და ზემო აფხაზეთი უწოდეს, ოფიციალურად გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღადგინეს და სამხრეთ ოსეთი დაარქვეს, შიგ ახალგორი შეტენეს, ამ ახლად გამომცხვარ სამხრეთ ოსეთის „სახელმწიფოში“ არჩევნები ჩაატარეს, პრეზიდენტად სანაკოევი აირჩიეს და ეს ყველაფერი, ეს გაუგონარი ღალატი და თავხედობა საქართველოს პარლამენტს დაამტკიცებინეს.

აი, ამის ჩამდენი მოღალატეები და ქვეყნის გამყიდველები, ეს რუსეთის მეხუთე კოლონა, „ნაცმოძრაობა“ — რუსული სპეცსამსახურების ქართული ფილიალი, გრუს ოფიციალური თუ არაოფიციალური თანამშრომლები, ქართველი ახალგაზრდების გაბრიყვების ხარჯზე, მათ პატრიოტულ და ეროვნულ გრძნობებზე ფარისევლური მანიპულირების ხარჯზე, კვლავ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას აპირებენ.

20 ივნისის აქცია, ეს იყო „ნაცმოძრაობის“ მიერ მართული მორიგი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომელსაც ჰყავს თავისი ავტორები. პირდაპირ მოუწოდებდნენ აქციის მონაწილეებს, შტურმით აეღოთ ქვეყნის მთავარი საკანონმდებლო ორგანოს შენობა — პარლამენტი და იქ გამაგრებულიყვნენ.

დღეს ისინი ბევრს ლაყბობენ იმაზე, რომ შტურმის მოგერიება პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებით მოხდა, მაგრამ არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ პარლამენტის

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

შენობის ასაღებად მომიტინგეებმა ერთხელ კი არა, სამჯერ მიიტანეს იერიში.

ეს იყო ნამდვილი საბრძოლო შეტევა პარლამენტში შესაღწევად, რაც, ცხადია, პოლიციას უნდა აღეკვეთა.

ნებისმიერი ზედემოკრატიული სახელმწიფოს პოლიცია მსგავს სიტუაციაში ზუსტად ისე მოიქცეოდა (შეიძლება უფრო მკაცრადაც), როგორც მოიქცა ქართული პოლიცია, ოღონდ ერთი განსხვავებით, დაუყოვნებლივ, ადგილზევე დააპატიმრებდნენ ამ შტურმის ორგანიზატორებს და წამქეზებლებს, რომლებიც მომავალში, ალბათ, უმძიმესი მუხლებით გასამართლდებოდნენ.

პასუხისმგებლობა იმ დრამატულ შედეგებზე, რაც სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული ამ იერიშების აღკვეთას მოჰყვა, პირველ რიგში, ოპოზიციას და პერსონალურად იმ პოლიტიკოსებს ეკისრებათ, რომლებმაც ძალადობრივი გზით სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სცადეს.

„ვარდების რევოლუცია-2“, ანუ მეორე სახელმწიფო გადატრიალება, არ შედგა (პირველი „ვარდების რევოლუცია“ რომ წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალება იყო, საყოველთაოდ ცნობილია...)

●

ახლა კი ორიოდე სიტყვა იმ მთავარ მიზეზზე, რასაც მოჰყვა მთელი ეს დავიდარაბა.

კარგად რომ დაუკვირდე, ეს არის აურზაური არაფრის გამო, საიდანაც ქვეყნის მოღალატე „ნაცმოძრაობამ“ და მისმა განაყოფებმა ისეთი აპოკალიფსური სურათი შექმნეს, თითქოს ქვეყნის დასალიერი დადგა.

— ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტის სავარძელში ჩაჯდა და იქიდან რუსულ ენაზე წაიყვანა სესიის სხდომა. ეს არის ქვეყნის სრული ოკუპაცია, სადემარკაციო ხაზი უკვე საქართველოს პარლმენტში გადის! — აი, ამ დემაგოგიაზე და ფარისევლობაზე ააგეს პროვოკატორებმა საპროტესტო განწყობა, რომელიც სულ მალე ქუჩაში გავიდა და პარლამენტის წინ ხალხმრავალ საპროტესტო აქციაში გადაიზარდა.

რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ მიზეზი, რაზეც აიგო ეს პატრიოტულ-ჰეროიკული სიუჟეტი, სინამდვილეში დემაგოგია და ფარისევლობა იყო?

რას ვგულისხმობ და იმას, რომ სერგეი გავრილოვი იმ დღეს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამართულ სესიაზე არც ოკუპანტ ქვეყანას — რუსეთს წარმოადგენდა და არც რუსეთის დუმას. ის ამ სესიაზე იმყოფებოდა მართლმადიდებელთა საპარალამენტო ასამბლეის წევრისა და მისი პრეზიდენტის სტატუსით. მართლმადიდებელთა საპარლამენტთაშორისო ორგანიზაცია კი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელშიც სხვადასხვა მართლმადიდებელი სახელმწიფოები არიან გაერთიანებული, მათ შორის საქართველოც, მათ შორის, რუსეთიც...

საქართველო 20 ივნისს რუსეთის დუმის გამსვლელ სხდომას კი არ მასპინძლობდა, ე.წ. ოპოზიციამ ამხელა ხმაური და აჟიოტაჟი რომ ატეხა, არამედ მასპინძლობდა მართლმადიდებელთა ასამბლეას, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის 110 დეპუტატით იყო წარმოდგენილი.

**საქართველოს ხელისუფლებას ამ ასამბლეის თბილისში მოწვევით არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, არც ქვეყნის ინტერესებისთვის უღალატია, არც ოკუპანტ რუსეთთან შესულა რაიმე გარიგებაში.**

გამომდინარე აქედან, საქართველოს ხელისუფლებას თავის სამართლებელი არაფერი ჩაუდენია, თუმცა მან ვერ გაუძლო პროვოკატორების ფსიქოლოგიურ ზეწოლას და თავის მართლების რეჟიმში გადავიდა.

საქართველოს, ამ ასამბლეის სესიის თბილისში გამართვით, ჰქონდა უნიკალური შანსი ეფექტურად გამოეყენებინა საერთაშორისო ტრიბუნა და იმ 110 დეპუტატისთვის და მათ შორის, გავრილოვისთვისაც, ღიად და ფართოდ წარმოეჩინა ის პრობლემები, რაც საქართველოს წინსვლასა და განვითარებას ხელს უშლის.

ამ პრობლემების ჩამონათვალში, ცხადია, პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და ოკუპაციის საკითხი იქნებოდა.

ვფიქრობ, სწორედ ეს კეთილშობილური და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი განზრახვა ამოძრავებდა საქართველოს ხელისუფლებას, როცა ამ ასამბლეის სესიის თბილისში გამართვაზე დათანხმდა.

სამწუხაროდ, ამ შანსის გამოყენების მცდელობა ნაცპროვოკატორებმა ჩაშალეს და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კვლავ მწვავე დაპირისპირების ტალღაზე გადართეს, რითაც, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 90-იან წლებში დაგვაბრუნეს.

მეც და ჩემსავით ძალიან ბევრს უამრავჯერ გვითქვამს, რომ საქართველოს უფრო სახიფათო, უფრო ვერაგი და დაუნდობელი მტერი, ვიდრე „ნაცმოძრაობაა“, არ ჰყავს.

იმის ნაცვლად, რომ ამ მტერს თავისი სახელი დავარქვათ და თავისი ადგილი მივუჩინოთ, ისინი ყველა სახელმწიფო სტრუქტურას არიან მეტასტაზებივით მოდებული და მავნებლობენ, საბოტაჟს უწყობენ ქვეყანას, დესტაბილიზაციისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიან.



გავრილოვმა ერთი საათით ჩამოდო ნახევარი უკანალი პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე და კინაღამ ომი დავიწყეთ, მაგრამ ესენი, ეს ქართველი გავრილოვები, ოცი წელიწადია სამთავრობო და საპარლამენტო სავარძლებში არიან ჩაბრძანებული და ქართული პოლიტიკის დღის წესრიგს გვიდგენენ.



გავრილოვმა ერთი საათით ჩამოდო ნახევარი უკანალი პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე და კინაღამ ომი დავიწყეთ, მაგრამ ესენი, ეს ქართველი გავრილოვები, ოცი წელიწადია სამთავრობო და საპარლამენტო სავარძლებში არიან ჩაბრძანებული და ქართული პოლიტიკის დღის წესრიგს გვიდგენენ.

20 ივნისს ნაციონალებმა საქართველო შეარცხვინეს და იმ 110 დეპუტატის და დანარჩენი მსოფლიოს წინაშე ისე წარმოგვაჩინეს, თითქოს დიდი ისტორიის ცივილიზებული და კულტურული ერი კი არა, ქაჯები, ნახევრად ველურები, შიზოფრენიით დაავადებული ბრბო ვართ, რომელსაც არ შეუძლია ემოციები მოთოკოს და თუნდაც კრიზისულ ვითარებაში, ისე მოიქცეს, როგორც ეს ღირსეულ ერს ეკადრება.

ქართველი კაცი ძმობის, მეგობრობის, ძმადნაფიცობის, მოყვრობის, ნათესაობის თუ მეზობლობის დაუწერელი კოდექსით ცხოვრობდა, მაგრამ მას, ასევე ჰქონდა მტერთან ურთიერთობის კანონები, საიდანაც გადახვევა სირცხვილად ითვლებოდა.

ქართველი კაცი მტერზე აუგს არ იტყოდა, არ გალანძღავდა, არ გაჭორავდა, არ დაამცირებდა, რადგან თვლიდა, რომ მისი მტერიც ღირსეული კაცია, რადგან თვითონ არის ღირსეული.

ყველაფერი ეს, როგორც ჩანს, დავივიწყეთ, ისე, როგორც დავივიწყეთ ეს საოცარი სიტყვები: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“...

როგორც ჩანს, ქართველების ეს ნაწილი უკვე არ არის ქართველი და ამიტომაც იქცევა ასე „ბაცანასავით“.

ქართველებივით კი არა, „ბაცნებივით“ იქცეოდნენ 20 ივნისს ვიღაც-ვიღაცები პარლამენტის სხდომათა დარბაზშიც. ქართველებივით კი არა, „ბაცნებივით“ იქცევიან ვიღაც-ვიღაცები პარლამენტის წინ გამართულ მიტინგებზე, რითაც ისინი სხვებს კი არა საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას აყენებენ უდიდეს შეურაცხყოფას.

„პუტინ ხუილო“, „პუტინ ნახუი“, „გახარია გააჯვი“, — ამ ლოზუნგების შემყურეს შიში მიპყრობდა, ესენი ახლა შარვალს ჩაიხდიან და, როგორც ატოცთან გააკეთეს, ოკუპანტს უკანალებს მუშვერენ-მეთქი.

არა, არ არიან ესენი ქართველები — არაქართველებმა კი საქართველო როგორ უნდა დაიცვან?

●

— ბიძინა ივანიშვილი რუსეთის კაცია და რუსეთის გეგმებს ახორციელებს საქართველოშიო, — გაჰყვირიან ნაცები.

თქვენ, ნაციონალები, ეუბნებით ბიძინა ივანიშვილს, თქვენ, რომლებმაც აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსებს უფეშქაშეთ?

თქვენ, ნაციონალები, ამბობთ ბიძინა ივანიშვილზე, საქართველოს რუსულ ორბიტაზე უპირებს დაბრუნებასო, როცა თქვენ თვითონ შეეკარით რუსებს საიდუმლო კავშირით და ყველაფერი დაუთმეთ, რისი დათმობაც შეიძლებოდა.

თქვენ, ნაციონალები, რუს გენერლებთან აღებ-მიცემობით რომ იყავით დაკავებული, თქვენ, ვინც რუს დამპყრობლებთან ერთად ქეიფობდით, მაშინ როცა ქართველი ვაჟკაცების გვამები უპატრონოდ ეყარა ბრძოლის ველზე, თქვენ სდებთ ბრალს ბიძინა ივანიშვილს რუსეთთან თანამშრომლობაში?

**ბიძინა ივანიშვილს არაფერი დაუთმია რუსებისთვის,** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია მთავარი ორიენტირისგან, თქვენ კი ისეთ რუსულ ჩიხში შეათრიეთ ქვეყანა, იქედან მშვიდობიანად გამოსვლას კიდევ დიდი ხანი დასჭირდება.

ბიძინა ივანიშვილი კი არა, სწორედ თქვენ ხართ წმინდა წყლის რუსული ძალა, ნაცებო, სწორედ თქვენ ხართ რუსეთის მეხუთე კოლონა და სწორედ თქვენ ცდილობთ რუსული ინტერესების გატარებას ამ ქვეყანაში. ბიძინა ივანიშვილის არსებობა კი ამ სანუკვარი მიზნების განხორციელებაში ხელს გიშლით.



არაფერი გამოგივათ, ქართველ ხალხს ვერ შეაცდენთ და საკუთარი ხელით ვერ გაათხრევინებთ იმ სამარეს, რომელშიც მთელი ქვეყნის ჩატყუება გინდათ, რომ მერე ზედ მიწა დააყაროთ და თქვენი ბინძური ფეხებით შედგეთ.

# კობახიძის თანამდებობიდან წასვლამ შეიძლება ბევრი სირთულე მოხსნას, გახარიას თანამდებობიდან წასვლამ კი პირიქით – ბევრი სირთულე გააჩინოს



*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, ქვეყანაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა, შედეგი რა იქნება, ზოგადად, რა დაგვემართა?**

— თქვენ, მეკითხებით: რა დაგვემართაო. ალბათ, მხოლოდ დღევანდელ სიტუაციას არ გულისხმობთ. დღეის მდგომარეობას თუ ავიღებთ, დეჟავიუს განცდაა, განსაკუთრებით, ჩემს თაობაში. პარლამენტის წინ, მუდმივად, ასეთი პროცესების შემსწრე ვართ — მიტინგები, არეულობა, ქუჩის გადაკეტვა და ა.შ., რაც უკვე 30 წელია გრძელდება — იქ, არ ჩათავდა, სადაც ერთი შეხედვით უნდა ჩათავებულიყო. ეროვნული მოძრაობის, საქართველოს დამოუკიდებლობის — ამ თემების შემდეგ, თითქოს, სახელმწიფოს ჩამოყალიბებას წინ ქუჩის აქციების დამშვიდება უძღოდა. თუმცა, ასე არ მოხდა. რუსეთს, აშკარად, აწყობს საქართველოს არასტაბილური იმიჯი. თუნდაც იმისთვის, ტურიზმი შეაფერხოს. როგორც აცხადებენ: საქართველოში რუსი ტურისტების შემოდინება 70%-მდე შემცირდება. ეს განაცხადი უცხოელების ყურამდეც მიაღწევს. მოგეხსენებათ, ადამიანები ერთმანეთს ბაძავენ. აქ, მარტო ტურიზმზე არ არის საუბარი — შესაძლოა ქვეყნის სტაბილურობაში ეჭვი შეეპაროთ მათ, ვისზედაც არის დამოკიდებული ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლა. დღეს, ბევრი რამ რუსეთის ინტერესშია. რუსეთი ყოველმხრივ ცდილობს ეს ინციდენტი, რაც დღეს ჩვენთან ხდება, ქვეყნის არასტაბილურობის საილუსტრაციოდ გამოიყენოს და მსოფლიოს ანახოს, რომ საქართველო სტაბილური ქვეყანა არ არის და ხელისუფლება რომელიც მას მართავს არასაიმედოა, არამყარი პოზიციები აქვს და მასთან ურთიერთობა შეიძლება შორეულ პერსპექტივაში საზიანო იყოს.

აქ, არიან ადამიანები, რომელთაც პარლამენტში შევარდნის იდეა გაუჩნდათ. ინვესტორი ჩადებს ფულს იმ ქვეყანაში რომლის პარლამენტში, განწყობილებების ფონზე, ხალხი შევარდება და ხელისუფლებას დაამხობს?!

**— ეს ხომ ეკონომიკას დაარტყამს. ვის იმედზე ვართ?**

— არა მარტო ეკონომიკას, არამედ პოლიტიკასაც. ახლახან, ევროკავშირის სტრუქტურებში მყოფი ქართველი გოგონა წერდა: კულუარებში შეშფოთებულნი არიან და საქართველოში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით ადევნებენ თვალსო. შეშფოთების საბაბას როცა იძლევი, ეს უკვე წამგებიანია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩემი აზრით, გამორიცხული არ არის რუსეთს სპეციალურად გადაედგა ეს თავხედური ნაბიჯი, რაც გავრილოვის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაბრძანებას უკავშირდება. ასევე, შემთხვევითი არ მგონია, რუსეთის თანხმობა ამ ღონისძიებაში მონაწილეობაზე. შეიძლება, რუსეთმა წამოიკიდა



ქართული მხარე, რათა პროცესს ეს მიმართულება მისცემოდა.

რაც შეეხება ოლხოკრატიას — ხალხის ბრბოდ ქცევას, ასეთი შემთხვევა ყველა რევოლუციის დროს გვაქვს. არაბული გაზაფხული სწორედ ოლხოკრატიის გამოვლინება იყო. ასევეა, უკრაინის მაგალითიც — რაც მოხდა ძალიან სამართლიანი იყო, მაგრამ ხალხი ბრბოდ იქცა. იგივე, მოხდა საქართველოშიც. შევარდნაძის დროს, არჩევნების შედეგები არ აწყობდა სააკაშვილს, მას პირველი ადგილი უნდოდა. მოხდა რევოლუცია და წამყვანი ერთი პარტია გახდა. ანუ, მართვა ერთპარტიული გავხადეთ. რატომ? — იმიტომ, რომ საზოგადოების განწყობილებები შეიცვალა. აი, ასეთი განწყობილებების ცვლილება ერთი წამოძახილით, ერთი ხელისკვრით სწორედ ბრბოსთვის არის დამახასიათებელი. რით განსხვავდება არჩევნები რევოლუციებისგან? — არჩევნების დროს ადამიანებს საშუალება აქვთ დაფიქრდნენ, ინფორმაცია აწონ-დაწონონ და გადაწყვეტილება საარჩევნო ყუთთან ასახონ. ასეთი რამ, ქუჩაში გამართულ მიტინგს, არ ახასიათებს. აქ, ფიქრის საშუალებას არავინ გაძლევს. ამიტომ, როგორ განვითარდება პროცესები, ძნელი სათქმელია. თუკი მუხტი შენარჩუნდა, მიტინგი შეიძლება ადვილად წაიყვანონ ნებისმიერი დამანგრეველი მიმართულებით და თუ მუხტი ჩაქრა, მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდება.

**— ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ხელისუფლებას თუნდაც, შემდეგის გათვალისწინებით: მან დაუშვა გავრილოვის საკანონმდებლო ორგანოში ვიზიტი; მან გადაწყვიტა, რომ საუკეთესო გამოსავალი იყო კოაბიტაცია; მან მისცა ზედმეტი თავისუფლება ძალას, რომელიც ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდა.**

— თითქმის, ყველა შეცდომას შედეგი მოჰყვება. რა თქმა



უნდა, შეცდომაა იმ პოლიტიკურ ძალასთან კოაბიტაციის თამაში, რომელიც შენთან იგივეს სულაც არ აპირებს. თანამშრომლობა ორმხრივი თუ არ არის, წამგებიანი იქნება. „ნაცმოძრაობა“ არ აპირებს „ქართულ ოცნებას“ ანგარიში გაუწიოს, პირიქით, ყველგან დაუპირისპირდება სწორედაც რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობით. ისინი შუალედურ არჩევნებზეც კი ამას ამბობდნენ: ჩვენი კანდიდატი აირჩიეთ და აქედანვე დაიწყება ხელისუფლების შეცვლაო. ასეთი იყო მოწოდება. „ნაცები“ სულ იბრძვიან იმისთვის, რომ ხელისუფლება შეცვალონ. სხვა პოლიტიკურ პარტიებში, ეს მოტივი, წამყვანი არ არის. მათთან კი სწორედ ეს არის მთავარი. ვერ გაიგეს, რომ არ უნდათ ქართველებს „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოყვანა. ეს არის მთელი პრობლემა. ახლანდელ მიტინგებსაც კი ხალხი აკლდება იმიტომ, რომ იქ „ნაციონალები“ დგანან. ამიტომ, მათი მოწოდება ხელისუფლების შეცვლისკენ, თან რევოლუციური გზით, ძალადობად აღიქმება.

**— 2016 წელს თბილისში ეუთოს საპარლამენტო ასსამბლეა ჩატარდა. მაშინ რუსულ დელეგაციას სლუცკი წარმოადგენდა. არ მახსოვს „ნაცებს“ პროტესტი გამოეხატოთ. ახლა კი საკმაოდ ოპერატიულად მოახერხეს „ნაცებმა“ მობილიზება. საქმე კარგად დაგეგმილ აქციასთან გვაქვს?**

— პრობლემას რასაც ეს საპროტესტო აქციები მიეწყო, ხალხის, რეალური, გულისტკივილი ახლდა. ამიტომ, ადვილი იყო ამ განწყობილების ფონზე მოსახლეობის მობილიზაცია. „ნაცებმა“ დაგეგმილად დაიწყეს ამ განწყობილების შემოტანა. ასეთია „ნაცმოძრაობა“. როცა იცი, რომ საკმაოდ შეუპოვარი ოპოზიცია გყავს, შეიძლება მათთან ამდენი შეცდომები დაუშვა? ეს არის პრობლემა. ხელისუფლებამ თავად აღიარა, რომ ამ ღონისძიების ჩატარება შეცდომა იყო. რა დასკვნა გააკეთეს ამ შეცდომიდან? — კობახიძემ თანამდებობა დატოვა. კი ბატონო, მაგრამ კობახიძეს თანამდებობა დაატოვებინო იმიტომ, რომ მან გამოუცდელობის გამო შეცდომა დაუშვა და ანალოგიურად გამოუცდელი თალაკვაძე განიხილო მის ადგილას, ეს ნიშნავს, რომ საკუთარ შეცდომებზე ეს პოლიტიკური ჯგუფი არაფერს სწავლობს. ეს სამწუხაროა. შეცდომა მხოლოდ კობახიძეს არ მოუვიდა, ვინც ის ამ თანამდებობაზე წამოსწია მასაც მოუვიდა შეცდომა, რაც შეუფასებელი დარჩა.

**— გახარიას გადადგომის მოთხოვნა რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ?**

— ვთვლი, რომ გახარიას გადადგომა საკმაოდ სარისკო მოთხოვნაა იმიტომ, რომ ამას უკვე დიდი ხანია ითხოვს სწორედ ის ოპოზიცია, რომელიც მიზნის მიღწევას დესტაბილიზაციით ცდილობს. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რომ ეს პოლიტიკური მოთხოვნაა და მომხდარ კონკრეტულ შემთხვევასთან კავშირში არ არის. გაგახსენებთ, ძალიან ბევრ პროცესში გახარიამ ქვეყნის სტაბილურობა გადაარჩინა. აქ, შეეშალა, მაგრამ პანკისში და სხვა შემთხვევებში მან მოახერხა სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა ისე, რომ სახელმწიფოს ინტერესები გადაარჩინა. ამ შემთხვევაში, გახარიას, რეალური, შეცდომის დასჯის მოტივით სახელმწიფოს ინტერესებს ხომ არ ვწირავთ?! სასჯელი ყოველთვის გამართლებულია თუ არა? ხომ არ აღმოჩნდება, რომ გახარიას დასჯით, ჩვენ, შეიძლება რაღაც ისეთი წავაგოთ, რისი კომპენსირებაც მერე ძნელი იქნება. პრაქტიკულად, ასეთი სირთულეების წინაშეა ქვეყანა. გვახსოვს, რამდენად რთული იყო შსს მინისტრის პოვნა. კობახიძემ უფრო მეტი შეცდომები დაუშვა, იგივე, მოსამართლეთა თემაზე. ასე, რომ კობახიძის თანამდებობიდან წასვლამ შეიძლება ბევრი სირთულე მოხსნას, გახარიას თანამდებობიდან წასვლამ კი პირიქით — ბევრი სირთულე გააჩინოს. მით უმეტეს, იმ ქვეყანაში, სადაც დესტაბილიზაციის მოსურნე გარე თუ შიდა ძალები ჩასაფრებულნი არიან.

**— მიტინგზე გაიჟღერაფრაზამ: ეს იქნება ახალგაზრდების რევოლუციაო.**

— ალბათ, ჩემი საუბრიდან მიხვდით: რევოლუციები არ მიყვარს სწორედ იმიტომ, რომ მასში მონაწილე ადამიანებს ფიქრის, განსჯის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალება არ აქვთ. ამიტომ, შემდეგზე ვიფიქროთ: საქართველოს მომავალი დავუკავშიროთ არა რომელიმე რევოლუციას, არამედ იმას, რომ ხელისუფლება შეიცვალოს ოღონდ, არჩევნების გზით. რატომ წავიდა ევროპა არჩევნების გზით? მან ხომ ძალიან კარგად იცოდა რა არის რევოლუცია. მეტიც, ფრანგებს არ უყვართ რევოლუციური პერიოდის გახსენება სწორედ იმიტომ, რომ მაშინ ადამიანებმა კეთილი მიზნებით ბევრი ცუდი საქმე გააკეთეს, რაც რევოლუციის დამსახურება იყო. ჩვენი ახალგაზრდებიც შეიძლება სიტყვის მასალად ამბობენ რევოლუციას. მგონი რაც უფრო ნაკლებად ვიხმართ იმ სიტყვებს, რამაც შეიძლება სტიქიური პროცესები გააჩინოს, უკეთესი იქნება. გადამწყვეტი არჩევნები უნდა იყოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24



# ყეყეჩების „რევოლუცია“

„შე ყეყეჩო ბოკერია!“ — საუკუნის ფრაზა წარმოსთქვა პარლამენტში ვიცე-სპიკერმა ვოლსკიმ. გამჭოლი, მუქარის შემცველიც, მაგრამ მართლაც მართალი ფრაზა.

საქმე ის გახლავთ, რომ ყეყეჩი ბევრ სხვა ყეყეჩს შობს, საუბედუროდ, მათ აქვთ გამრავლების უნარი და ყეყეჩები მრავლდებიან... სწორედ ასეა ახლა: ხელისუფლებაში, პარლამენტში და პარლამენტს გარეთაც... ქუჩა შობს ყეყეჩებს წყვილ-წყვილად და ერგას-ერგასსაც. მაგალითად,. მწერალთა კავშირი ინახავს და „ამუმიებს“ ასეთ „იდიოტებს“, რაც ბოლოდროინდელ მათ ყრილობაზეც გამოჩნდა.

ჰაინეს უთქვამს: ბნელ, ყეყეჩ არსებებს საოცარი თვისება აქვთ: ერთი ოთხ ყეყეჩს შობს, გენიოსი — ბრძენი კი მხოლოდ ერთია, ის ვერ შობს სხვა გენიოსს, ვერ მრავლდება...

ნახე, რა ხიფათის შემცველი



ვითარებაა: მერე გამრავლებული ყეყეჩები იმ ერთ გენიოსსაც ჭამენ, კლავენ, ან დევნიან და ქვეყანაში მხოლოდ ისინი რჩებიან.

რა ეშველებათ ახალგაზრდებს, რამდენადმე რობოტიზებული ცნობიერებით, ამ ყეყეჩ მშვილდაძეებს და მისთანებს რომ უსმენენ მიტინგებზე და შინაგან საქმეთა მინისტრის (გახარიას) გადადგომას რომ ითხოვენ ქვეყნისა და სახელმწიფოს ჩამოსაშლელად.

სამწუხაროა, რომ ვიღაცას ცალი თვალი გამოთხარეს, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ქვეყნისთვის ორივე თვალის გამოთხრას აპირებენ ეს ყეყეჩები.

იმ ერთადერთ კაცს, რომელსაც ქვეყანაში (სახელმწიფოში) რაღაცის დაცვა და გადარჩენა შეუძლია, რომელიც აჩერებს სახელმწიფოს შიგნიდან (და გარედანაც) ნგრევას, ირიდებს დესტრუქციულ ბნელ ენერგიებს — ეტყობა, სახელმწიფოს ინტერესი ქუჩაში მდგომთ ფეხებზე ჰკიდია.

გახარიამ წასვლა არც თვითონ და არც ვინმეს კარნახით არ უნდა გაბედოს!!!

ამდენ ყეყეჩს, ამდენ ვირთხას და ვირისთავს, სახელმწიფოს მმართველად ხელისუფლებაში მოსვლა რომ უნდა, პარლამენტში შეჭრა, „გადატრიალება“, „სხვისი ჭიქიდან“ წყლის მოსმა და მარცხენა ხელით ცხვირის მოხოცვა რომ უნდათ...

რაო, სახელმწიფო, ქვეყანა აღარ გვინდა?!

●

არ მრავლდება ბრძენი და გონიერი, არ აცლიან გამრავლებას, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს ბევრი სანუგეშო ბრძენი (კითხული) კაცი. საუკუნეში ერთი ორი თუ გამოერევა, იმასაც გამრავლებული “ოთხადქცეული“ ყეყეჩები შესევიან და „ჩაქაოლავენ“, დააყაჩაღებენ, ცილს დასწამებენ, ყველაფერს ჰკადრებენ, რაც ენაზე მოადგებათ და, ბოლოს და ბოლოს, გააძევებენ ან მოკლავენ.

ამ ყეყეჩებმა მოკლეს ილია, ყეყეჩებმა, რომლებიც ჰაინემდეც ბევრნი იყვნენ და იმის მერეც...

ამას წინათ ერთი სწავლული მწიგნობარი კაცი მეუბნებოდა: „ზუსტად დავადგინე და ვიცი, როგორ და რატომ გააძევეს რუსთაველიო. ხუთი საუკუნე იყო გაძევებული და XVII საუკუნეში გამოჩნდაო“.

ინტუიტურად მეც ვგრძნობ, რომ ნამდვილად გააძევებდნენ, ვინაიდან ღირსეული და გამოჩინებული მამულიშვილი გაუძევებელი და ტყვიადაუხლელი არავინ დაგვიტოვებია!

ისიც ნიშანდობლივია თუ, რატომღაც, როგორ გადაიქცევიან თითქოს ჩვეულებრივი საიმედო ადამიანები მოღალატე არაფრებად

ჭკვიან კაცს უთქვამს, კაცს, სანამ არ გაიზრდება, სახელი არ უნდა დაარქვაო. აი, სანიკიძეს მამამ გუბაზი დაარქვა, ახტა-დახტა ამხელა კაცი და გომბეშოსავით პირდაპირ ნაცების ტლაპოში ჩახტა. უღალატა მშობელს, მეგობრებსაც და სახელსაც.

●

საკითხავი და საკვლევია, რატომ და როგორ მომრავლდნენ ჩვენს სამშობლოში (ქვეყანაში) წიგნიერი ჩამშვები იდიოტები და უწიგნური ყეყეჩები. ამდენი



ბოკერია-გვარამიები, ასეთი და ამდენი ხოშტარია-ხოშტერიები, სამნიძე-კორძაიები, ანუ ამდენი რესპუბლიკელი გარეწარი.

როგორ დაიყვნენ და გამრავლდნენ სოლიტერებივით სატანისტი ლიბერასტების სახესხვაობანი (და ერთსახეობანი) და კლასები:

— ჟურნალისტების ურწმუნო (უსამშობლოო) ხეპრე კლანები;

— არასამთავრობო „მორჟები“;

— მოფაშისტო, ულტრალიბერასტი პოლიტიკანები.

— ბნელიდან გამოსული სახეობები, სინათლეს რომ ვერ იტანენ (ვერაფერს ხედვენ) და სულ დაუნახაობაში და ცილისწამებაში ყოფნა ურჩევნიათ, ანუ შური სხვათა სიკეთესა ზედა;

— იეზუიტი, ენაბლუ მოგვები, გამოხატვის თავისუფლებით საზოგადოების გულს და გონებას რომ ასნებოვნებენ;

— წიგნიერი კოსმოპოლიტი ლიბერალები და ხევსური ხევისბერის ფრაზა: „ჩემი შვილი ნასწავლი კია, მაგრამ ჭკუა არა აქვსო, — ჭკუა ერთია სწავლა მეორეო!“

ესეც საუკუნის ფრაზაა, იმ საუკუნეში აკაკი შანიძისთვის თქმული...

●

ახლა რა ქნას, როგორ მოიქცეს საზოგადოება ამ „ყეყეჩი“ წიგნიერი თუ უწიგნური იდიოტების შემყურე? ამ ყეყეჩებმა პოლიტიკის არმცოდნე გულუბრყვილო ახალგაზრდებიც გამოაყეყეჩეს, გინდა თუ არა, გახარია გადადგესო. საზოგადოება უწიგნური იდიოტების შემყურეა და კატასტროფის ზღვარზე დგას. მართლაც ურთულესია სახელმწიფოსთვის მათი მონღოლოიდური იერიშების მოგერიება.

●

გუშინ მწერალთა კავშირის XXV ყრილობაზე 90 წლის უხუცესი მწერალი-მემატიანე რეზო კვერენჩხილაძე არ შეუშვეს, გარიცხული თუ გასული ხარო. ნახეთ, რა დონეზე დაეცნენ ეს კავშირს შეზრდილი დაობებული სოკოები — 700-კაციანი ერთსახოვანი მასა — თავდიშვილი რომ ეყოლება ყრილობის წამყვანად მიშველაძის მუმიით. ერთი იდეა ერთი სხივი რომ არ იცვლის მათი კონსერვატიზმის დახშულ კედლებში.

მათ რომ ივანიშვილი არ უნდათ, ეს გავიგე, მაგრამ სამშობლო და ქვეყნის ბედიც რომ არ აწუხებთ, ესეც გავიგე. ქვეყანა თავზე გვექცევა და არავის გასჩენია გარეთ გასვლის სურვილი, ან პროტესტის გრძნობა ქალაქში გამართული ამ უზნეო, სახიფათო ბაქჰანალიის მიმართ... პანდორას ყუთი — ტლევიზიებიდან ამოფრქვეული უზნეობის ვირუსი რომ წამლავს ქვეყანას...

**კობა არაბული,**
**მწერალი, ეთნოლოგი**





# რატომ არავინ ახსენებს ამ ღონისძიების დამგეგმავს, გივი მიქანაძეს, რომელიც თავის დროზე ადეიშვილის მოადგილე იყო, ახლა კი პარლამენტის აპარატის უფროსია?

20 ივნისს თბილისში მართმადიდებლური საპარლამენტო ასამბლეის ჩაშლისა და დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის გაძევების საპასუხოდ ვლადიმერ პუტინმა რუსულ ავიახაზებს საქართველოში ფრენა აუკრძალა. აქედან 24 საათში აკრძალვა ქართულ ავიახაზებზეც გავრცელდა.

20 ივნისს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციიდან აქტივისტების პარლამენტში შეღწევის მცდელობას სამართალდამცავებთან დაპირისპირება მოჰყვა. პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, აქციის მონაწილეებმა პარლამენტში შესვლა კიდევ რამდენჯერმე სცადეს, რასაც სამართალდამცა-



ვებთან მორიგი დაპირისპირება მოჰყვა. ღამის 12 საათისთვის ძალოვანმა სტრუქტურებმა ცრემლსადენი გაზის გამოყენებით აქციის დაშლა დაიწყეს. აქციის მონაწილეები ტერიტორიას გაეცალნენ, თუმცა მალევე უკან დაბრუნდნენ. ამის შემდეგ სპეცრაზმმა რეზინის ტყვიების გამოყენებაც დაიწყო, რასაც უმძიმესი შედეგები მოჰყვა: ორმა აქტივისტმა თვალი დაკარგა, 240-მდე მოქალაქემ კი სხეულის დაზიანებები მიიღო. აქციის რამდენიმე მონაწილე ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში, მართვით სუნთქვაზე იმყოფება. დაკავებულია აქციის 305 მონაწილე.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველმა გუნდმა 20 ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებლობა სრულად აიღო (პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა და ზაქარია ქუცნაშვილმა დეპუტატის მანდატი), ოპოზიცია შინაგან საქმეთა მინისტრის „თავს" ითხოვს და სიტყვასაც არ ძრავს იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც პარლამენტის შტურმით აღების მოწოდებებისა და განსაცდელში ხალხის მიტოვების გამო ეკისრება.

„იმ დროის კადრები ახლანდელს რომ შევადაროთ, სისასტიკეს შორის გიგანტურ განსხვავებას დავინახავთ. მაშინ დემონსტრანტებს რეზინისა და პლასტიკურ ტყვიებს თავში არავინ ესროდა. არავინ წამლავდა გაზით ისე, როგორც ახლა მოხდა, — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ გრიგოლ ვაშაძემ რუსულ გამოცემა „კომერსანტს" განუცხადა. თუმცა ქართულ საზოგადოებას ნაციონალების დარბევაც მშვენივრად ახსოვს, ჯიხურების სახურავებზე შემოწყობილი გვამებიც და 20 ივნისის აქციიდან გაპარული ოპოზიციის ლიდერებისგან განსხვავებით, 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციების ნაცემი და დასისხლიანებული ლიდერებიც. შეგახსენებთ, რომ აქციების დარბევის დროს მიღებული დაზიანებების შედეგად, კობა დავითაშვილი ინვალიდის ეტლს მიეჯაჭვა, გია მაისაშვილს კი თავის არეში სიმსივნე განუვითარდა და გარდაიცვალა.

რატომ არ ახსენებენ ნაცები გივი მიქანაძეს, იმ ღონისძიების დამგეგმავს, რომელსაც ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა?" — ამ სათაურით გამოაქვეყნა ინტერნეტ პოსტალმა „პროგრესიუსმა" წერილი, რომელიც პარლამენტის აპარატის უფროსზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის. როგორც ირკვევა, ღონისძიება, რომელსაც ლამის სახელმწიფო გადატრიალება მოჰყვა, სწორედ გივი მიქანაძის დაგეგმილია, რომელიც არც მეტი და არც ნაკლები, იუსტიციის ყოფლი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის ყოფილი მოადგილე გახლავთ.

თბილისში განვითარებულ მოვლენებს რუსი პუბლიცისტი



და ჟურნალისტი **მაქსიმ შევჩენკო** ეხმაურება და რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დაძაბვას ამერიკასა და ირანს შორის მოსალოდნელ კონფლიქტს უკავშირებს.

„ამერიკა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება..

ეს ომი გარდაუვალია და ის ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების დროს ან არჩევნების შემდეგ დაიწყება, მაგრამ ამჟამად ამერიკა ირანთან ომისთვის მზად არ არის. საუდის არაბეთი აწარმოებს მძიმე ომს იემენში პროირანულ ძალებთან, თურქეთი ამერიკული და არაბული ინტერესების სასარგებლოდ ომს საერთოდ არ აპირებს და საკუთარ ტერიტორიას ამერიკელებს არ დაუთმობს. სომხეთი და აზერბაიჯანი ირანთან ომზე არავითარ შემთხვევაში არ წავა. რჩება საქართველო — მისი აეროდრომები იდეალურია თეირანზე, თავრიზზე,



ისპაანზე, კასპიის ნავთობისა და გაზის საბადოებზე ავიადარტყმების განსახორციელებლად. საქართველო ირანთან ომის მთავარი ფაქტორია.

ამჟამად, ამერიკელები ივანიშვილზე ზეწოლას ახდენენ და არჩევანის წინაშე აყენებენ: შევარდნაძის ბედი ან სრული ამერიკული პროტექტორატის მიღება. ამბის გაგრძელება სავარაუდოდ, ასეთი იქნება: ახალი არჩევნები საქართველოში და ამერიკის საელჩოში საიმედო აგენტურით შევსებული „ოცნებისა" და „ნაციონალების" სიები.

ამის შემდეგ პარლამენტი მიიღებს „რუსული აგრესიისგან" თავის დასაცავად, საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული ჯარის შემოყვანის გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ მოსკოვს ერთადერთი გამოსავალი რჩება — ომი და ტერიტორიის დაპყრობა, მაგრამ ეს ჩიხია, საიდანაც გამოსავალი არ არსებობს. საინტერესოა, აცნობიერებდა თუ არა მართლმადიდებელი კომუნისტი გავრილოვი, რომ ერთი სკამის ფასი ასეთი იქნებოდა?" — წერს მაქსიმ შევჩენკო.

დაახლოებით იგივე ვერსიას



ავითარებს ჟურნალისტი და პიარტექნოლოგი **ლალი მოროშკინა**, რომელიც სასტუმრო ბიზნესშია ჩართული და მშვენივრად ხვდება რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს პუტინის მიერ რუსი ტურისტებისთვის დაწესებული შეზღუდვები ქართული ეკონომიკისთვის.

„ამერიკას სასწრაფოდ ვჭირდებით ირანზე დასარტყმელად, რომელთანაც ომი გარდაუვალია და ჩვენი რკინიგზა, ინფრასრუქტურა, აეროპორტები, ჰოსპიტალები და აწ უკვე ამერიკულ ბაზებად გადაკეთებული სასტუმროები-მისწრებაა!!!! იგივე მიზეზით რუსეთმა უნდა მოასწროს, "გვხიოს" და დაამყაროს საკუთარი ჰეგემონია, რომლის ფასისრული იზოლაციაა ცივილური სამყაროსგან! არადა სხვანაირად კარგავს კავკასიის პლაცდარმს და ვერ ერევა აშშ-ს!

ადარდებთ რო? ამასობაში, მიტინგომანიაკებიც მშვენივრად უსუფთავებენ პოლიგონს რუსებს... კავკასიური ცარცის წრე... რომელი გაგვიშვებს ხელს, რომ არ გაგვხლიჩონ? საკითხავი აი ეს არის!ახლა ჩემი პროგნოზი! რა მოხდა და როგორ, ვინ გამოიყენეს და რამდენი პროცენტით ეს სხვა საქმეა!!! საქმე იმაშია, რომ რუსებმა გადაწყვიტეს ჰიბრიდული ომით, ბაგეღიმილიანზურგჩანთიანად საქართველოს ხელში ჩაგდება. ამასობაში მილიონი რუსი ტურისტით მოხიბლულმა და აღტკინებულმა ქართველებმა მოუმატეს უძრავ-მოძრავი ქონების ფასებს და სასტუმროებს! (იმაზე აღარ ვამბობ, რომ ტურ.ბუმამდე ასობით კორპუსი შეისყიდეს მოსკოველ-პეტერბურგელებმა) ასე, მაგალითად სიღნაღში ფასებმა მიაღწია 800–1500 ლარს ღამეში (იხ.დანართი) შესაბამისად მოსკოვის ფასებს გაუტოლდა სახლები თბილისშიც. რუსებისთვის დაპირებულმა საყოველთაო სეილმა ჩაილურის წყალი დალია. გაბრაზდა ვლადიმერ ვლადიმერის ძე, რას ქვია არ მაძლევთ მსხმოიარე ხეხილიანი მიწა-წყალ, შენობა ნაგებობეს იეფშიო?.და დაიდო გეგმა!

– მოვუჭიროთ, დავაგდებინოთ ფასი, შევისყიდოთ უძრავ-მოძრავი ქონება და მერე ისევ დავტურმეგობრდეთ!! აბა რას მივაწერო დღეს ორი ზარი ჩემს სასტუმროში, შეკითხვით რამდენად გავყიდი, თუ სეზონი მაინც ჩავარდა? ჩემი პასუხი: — მე მხოლოდ გერმანია-ავსტრია-იაპონია-საფრანგეთზე ვმუშაობ! ვისაც ანალოგიური ბიზნესი გაქვთ, გაფრთხილდით, თქვენც მოგადგებიან „სარფიანი წინადადებით" — დანარჩენი ლირიკაა..." — წერს ლალი მოროშკინა სოციალურ ქსელში.

წინასწარი გათვლებით, რუსული სანქციების შემდეგ ზარალმა საქართველოში, შესაძლოა, 2,1 მილიარდ ლარს მიაღწიოს, რაც ლარის კურსზე აუცილებლად აისახება. წლის დასაწყისიდან რუსეთის მოქალაქეებმა დაახლოებით 1,1 მლრდ ლარი დახარჯეს ჩვენს ქვეყანაში, რაც ტურისტების საერთო ხარჯის 33%–ია. სავარაუდოდ, ყველაზე დიდ დარტყმას მიიღებს აჭარა, შემდეგ კი დაბალბიუჯეტიანი სეგმენტი — თბილისში დარეგისტრირებული 22 ათასი ბინა. ამ ბინების 90%–ს რუსი ტურისტები ქირაობდნენ. 2018 წელს რუსი ტურისტების რაოდენობა თვეში 60 ათასს ჭარბობდა.

სანამ ეკონომისტები მოსალოდნელ ზარალს ითვლიან შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტში გამოსვლისთვის ემზადება. გიორგი გახარია წერილობით მიმართავს პარლამენტს და 20–21 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პლენარულ სესიაზე გამოსვლას ითხოვს. „ოცნების" კულუარებიდან დიდი ხანია ჟონავს ინფორმაცია, რომ გახარიას ოპოზიციაზე მეტი მტერი საკუთარ გუნდელებს შორის ჰყავს, რომელიც ზურგს უკან ორმოს უთხრის და ხელებს სიამოვნებით იფშვნეტს, თუმცა როგორ განვითარდება მოვლენები, უახლოეს დღეებში ვიხილავთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

# საქართველოს თალიბანიზაცია და მიშა მშვილდაძე – ქართველი ბინ ლადენი?

20 ივნისის მოვლენების მიმდინარეობისას ერთმა ტელევიზიამ ქუჩაში გამოკითხვა ჩაატარა. ახალგაზრდებს ეკითხებოდნენ, იცოდნენ თუ არა, რა მოხდა 9 აპრილს. გამოკითხულებიდან, მაქსიმუმ, ორმა იცოდა დაახლოებით, რა ტრაგედია დატრიალდა 9 აპრილს, ოღონდ ის არ იცოდნენ, რატომ მოხდა საერთოდ, ეს ტრაგედია.

გასული საუკუნის დასასრულის იმ დღეებიდან მოყოლებული ტრაგედიებს შევეჩვიეთ და რაც მოხდა და ხდება დღეს ჩვენს ქვეყანაში, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი იყოს. მეტიც, რაღაცნაირი მაზოხისტური დამოკიდებულებაც კი გაგვიჩნდა. მაზოხისტური დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის, საკუთარი არსებობის მიმართაც. ამ „ატმოსფეროში“ გაიზარდნენ ჩვენი ბავშვები, ჩვენი ახალგაზრდები, რომლებიც გუშინწინ, გუშინ და დღეს რუსულ ოკუპაციას აპროტესტებდნენ თბილისის ქუჩებში.

ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებმაც არ იციან, რა მოხდა 1989 წლის 9 აპრილს, ხოლო რა მოხდა უფრო ადრე საქართველოს ისტორიაში, საეჭვოა, რომ უმეტესმა მათგანმა იცოდეს...

ჩვენ არ მოგვწონს ოკუპაცია, არ გვინდა რომელიმე სახელმწიფომ ჩვენი სუვერენიტეტი შელახოს, ჩვენს დამოუკიდებელ საქმეებში ჩაერიოს, ჩვენი ქვეყანა მართოს, მაგრამ იმ ახალგაზრდებიდან არც ერთი, დარწმუნებული ვარ, არც ერთი არ იტყვის უარს, თუკი დაჰპირდებიან, რომ ევროპაში ან ამერიკაში, ან იგივე რუსეთში უზრუნველი ცხოვრება და ბევრი ფული ექნებათ, ყველა უყოყმანოდ წავა სამუდამოდ საცხოვრებლად უცხო ქვეყანაში, თუნდაც ეს რუსეთი იყოს.

პატრიოტიზმი და ქვეყნის სიყვარული, ოკუპანტისადმი სიძულვილი ხმის ჩახლეჩვამდე მიკროფონთან ყვირილში, მოსვირინგებულ ტანში, ჭიპზე საყურეში, პლანაქეშობაში, „ბასიანში“ ელექტრონულ მუსიკაზე ზომბირებულ ცეკვებში და ლგბტ ტოლერანტობაში თუ გამოიხატებოდა, აქამდე არ ვიცოდი.

ნაციონალების გვერდით რომ დგანან, ნაცებს თანამდებობებიც აქვთ და ბიზნესებიც, სისხლი მოენატრათ და ამაზე რომ გეშავენ და იყენებენ, ამას, სამწუხაროდ, ვერ ხვდებიან...









როგორც ინფორმირებული ადამიანები მეუბნებიან, სტუდენტური აქცია იმ ვითომ სტუდენტების მიერ იყო ორგანიზებული, რომლებიც სინამდვილეში „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდული აქტივისტები არიან და მათი გარკვეული ნაწილი რუსეთში გორჩაკოვის ფონდის დაფინანსებით არაერთხელ ყოფილა მიწვეული კონფერენციებზე პეტერბურგში, ასევე, როგორც შემატყობინეს, მარტო 2019 წელს ლიბერალური მოძრაობისთვის საქართველოში რუსულ ფონდს 300 მილიონი რუბლი გადმოურიცხავს ქართველი ლიბერალებისთვის.









საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მას მერე, რაც რუსულმა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს, თალიბების მძლავრი რეაქციული ორგანიზაცია შეიქმნა. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ თალიბანი აშშ-ის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ვიკიპედია იუწყება, რომ თალიბი ნიშნავს მოწაფეს, სტუდენტს. თალიბანის ძირითად ბირთვს სწორედ ახალგაზრდები, სტუდენტები და მაღალი კლასის მოწაფეები შეადგენდნენ. თალიბანის სტრატეგიას ჰქონდა და აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება — მოახდინონ ხელისუფლების სრული პარალიზება და აჩვენონ მოსახლეობას, რომ ერთადერთი ეფექტური ძალა, რომელიც აკონტროლებს ქვეყნის ცხოვრების მიმართულებას, არის თალიბანი.

ამ ორგანიზაციის ძირითადი ფინანსური წყაროები აშშ-ის დივიდენდების გარდა, ოპიუმისა და ჰეროინის გასაღება-ლეგალიზაცია იყო და არის, არა მხოლოდ თავიანთ ქვეყანაში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც.

თალიბებმა ხელში ჩაიგდეს ავღანეთში ძალაუფლება და, ფაქტობრივად, მიწასთან გაასწორეს სახელმწიფო, ახალგაზრდების ხელით, რომელსაც ბენ ლადენი ამერიკის მიერ შექმნილი ლიდერი მართავდა...



შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენი საყვარელი ახალგაზრდები, სტუდენტები თალიბანის მსგავს ქმედებებს ჩაიდენენ საქართველოში, ან მიშა მშვილდაძისგან დადგება ქართველი ბინ ლადენი, მაგრამ ავღანეთის მოდელის ტრანსფორმაციის ნიშნები დავინახე იმ ეგზალტირებული, არაადექვატურად მოძრავი ახალგაზრდების ქმედებებში და გული მწყდება, ახალგაზრდულ ენერგიას და სუფთა ძალას ქვეყნის დასაღუპად ჩაფიქრებული მიზნებისთვის რომ იყენებენ მინი-ბინ ლადენები საქართველოში. კარგი, ბავშვები არიან მაინც და „დავუჯეროთ“ — გადადგეს გახარია, მიჰყვეს მთავრობა და ვინ უნდა მართოს ქვეყანა, თქვენ, სტუდენტებო თუ ამ აქციების მომწყობმა ნაცებმა, რომლებიც მაშინვე ჩამოიყვანენ დორბლიან სააკაშვილს? აი, მერე იმიტინგეთ კარგად კუკური მანგოსთან და რუსებს ტრ..ი რომ მიუშვირა ატოცში იმ გიგა მაქარაშვილთან ერთად და ცნობილ და უცნობ ლესბოსელებთან ერთად,. ვნახავთ ერთი, რა მიტინგებსაც ჩაგატარებინებენ — გაგძუყნავენ ცემით, რეზინის კი არა, რკინის ტყვიებს დაგიშენენ და ციხეებშიც ამოგალპობენ, არა, ბიჭო, ელოდეთ, ფიანდაზებს დაგიფენენ, ზედ კარგად გაიარეთ...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# კურიოზული კატასტროფა

❖ **ბატონო ბიძინა**, ეს არის კურიოზული კატასტროფა, რომელსაც დიდი პროვოკაციის სუნი უდის თქვენს წინააღმდეგ, ჩვენს წინააღმდეგ, სახელმწიფოს წინააღმდეგ;

❖ **ბატონო ბიძინა**, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობაა ეს თუ საბავშვო ბაღი, რომლის „აღსაზრდელებმაც“ დღემდე ვერ გაარკვიეს, როგორ აღმოჩნდა ვინმე გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში?

❖ **ბატონო ბიძინა**, ჩაატარეთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და მოიშორეთ კვირიკაშვილისგან მემკვიდრეობად დატოვებული ეს ბალასტი — სიტყვით „ქართული ოცნების“ უმრავლესობა რომ ჰქვია, საქმით კი არავინ იცის, ვის ემსახურებიან.

❖ **ბატონო ბიძინა**,, თუ მე ვიცოდი, რომ გავრილოვი ვაშაძის ძმაკაცია, თუ ისიც ვიცოდი, რომ ეს პროვოკაცია „ჩერეზ“ რუსეთი იგეგმებოდა, მაშინ ამათ რაღა ჩემი ფეხები იცოდნენ და იციან?

❖ **ბატონო ბიძინა**, მიეცით მოქმედების საშუალება ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც არის ერთადერთი კაცი, ვისაც შეუძლია რადიკალურად შეცვალოს სიტუაცია არა მხოლოდ პარტიაში, არამედ მთავრობასა და პარლამენტშიც.



## წერილი მეათე



**ბატონო ბიძინა,** ამ წერილს ცხელ გულზე ვწერ. სწორედ მას შემდეგ, რაც თქვენი განცხადება გავრცელდა საინფორმაციო საშუალებებით. რაც 20 ივნისს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მოხდა, ეს გახლავთ კურიოზული კატასტროფა და ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ ამ ყველაფერს უდის დიდი პროვოკაციის სუნი თქვენს წინააღმდეგ, ჩვენს წინააღმდეგ და სახელმწიფოს წინააღმდეგ. რა მოხდა, საიდან დაიწყო ყველაფერი და როგორ განვითარდა მოვლენები? მაშინ, როცა თბილისში ისედაც დაძაბული იყო სიტუაცია ელგებეტეებისა და მეკომბლეთა დაპირისპირების გამო, ჩემი აზრით, ზედმეტი უნდა ყოფილიყო ამავე ქალაქში რაღაც მართლმადიდებლური ასამბლეის ჩატარება რუსეთის დუმის დეპუტატების მონაწილეობით. მით უმეტეს, სრულიად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ვინმე სერგეი გავრილოვის ჩამოყვანა, რომელიც, როგორც ამბობენ, აფხაზეთში იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ და მიაჩნია, რომ იგივე აფხაზეთი და სამაჩაბლო არის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. განა დიდი აზროვნება და განსაკუთრებული ტვინია იმისთვის, რომ მიხვდე, ასეთ არეულ დროს რა, როგორ და სად ჩაატარო? არ ვიცი, ვინ ჩემი ფეხებია ეს გავრილოვი, როგორც ამბობენ, რუსეთის დუმაში კომუნისტური პარტიიდან არის მოხვედრილი და ბუმბულის წონა აქვს, შეიძლება არც მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, შეიძლება სულაც უცოდველი მართლმადიდებელია (კომუნისტი და მართლმადიდებელი?), მაგრამ როცა ავანტიურისტი „ნაციონალები“ წინასწარ ავრცელებენ ინფორმაციას და ხელებს იკაპიწებენ, ხომ უნდა მიხვდე, რომ რაღაც არნახულ პროვოკაციას გიმზადებენ? კაი, ვერ მიხვდი (აქ ზაქარია ქუცნაშვილს და სხვა ე.წ. ორგანიზატორებს ვგულისხმობ), ვერ გაიაზრე, ვერ სწვდება შენი გონება ასეთ ღრმა ფილოსოფიურ საკითხებს, ბოლობოლო, ამ არეულობის დროს რა რელიგიურობა და რა კონფერენციობა თუ ასამბლეობა აგიტყდა? წადი, რა, შვილო, ან მთაში განიავდი, ან ზღვის პირას წამოწექი, ან ოჯახს მიხედე, ან კიდევ წიგნი წაიკითხე. თუმცა, არა, ბატონო ბიძინა, ჩვენ, ამ ცხოვრებაში ცოტაოდენ ჩახედული ადამიანები ხომ ვხვდებით, რაშია საქმე, ვინ რას ჩალიჩობს და რა ხეირს ნახულობს? ავი ენების თქმით, რაც პარლამენტში ხდებოდა ორი დღის განმავლობაში და შემდეგ რაც მოხდა, დადგმული იყო „ნაცების“ მიერ, ოღონდ „ოცნების“ დეპუტატების უნებლიე თუ შეგნებული ხელშეწყობით. როგორ აღმოჩნდა ვინმე გავრილოვი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში? თავად გავრილოვი აცხადებს, ქართველმა დეპუტატებმა ამიყვანეს და ჩამსვესო. კულუარული ინფორმაციის თანახმად, ეს საქმე პარლამენტის აპარატის უფროსმა, ზურაბ ადეიშვილის ყოფილმა მოადგილემ, ვინმე გივი მიქანაძემ გაჩარხა. აი, ხედავთ? 2012 წლიდან მოყოლებული, სადაც კი დიდი ან პატარა პროვოკაცია თამაშდება, ყველგან ხელისუფლებაში მოკალათებული „ნაცები“ არიან გარეულნი. როდესაც თქვენ ამბობდით, ჩვენი მისიაა, „ნაცებიც“ ადამიანებად უნდა ვაქციოთ, არ გავრიყოთო, თავიდან არა, მაგრამ მერე, დროთა განმავლობაში გეთანხმებოდით, მაგრამ ამავე დრომ გვაჩვენა, რომ ყველა ხისგან სალამური არ ითლება. პირდაპირ გეტყვით, არ გეწყინოთ, თქვენმა კეთილშობილურმა ზრახვებმა უკვე უამრავჯერ დაგვაყენა საფრთხის წინაშე — უკვე შვიდი წელიწადია, ყველგან, ყველა სფეროში ვხედავთ ღალატს, შანტაჟს, საბოტაჟს და რაც მთავარია, სახელმწიფო გადატრიალების წყურვილს. უკაცრავად, არ შეიძლება, ავადმყოფებს ხელში ჩავუგდოთ სახელისუფლებო ბერკეტები, ჩავაბაროთ საპასუხისმგებლო თანამდებობები, მივანდოთ საკვანძო საკითხები და ასე შემდეგ. ვიცი, კაცო, გავიგე, რომ გსურთ საქართველოს ყველა მოქალაქის „გაპატიოსნება“, მაგრამ არ გამოდის, გაიგეთ, არ გა-მო-დის!

20 ივნისს, საღამოს რუსთაველის გამზირზე შეიკრიბა დაახლოებით 3 ათასი ადამიანი. მანამდე მთელი დღე ისმოდა მოწოდებები, რომ მთელი საქართველო გამოსულიყო ქუჩებში და დაემთავრებინათ ხელისუფლება, ანუ დაემთავრებინათ ბიძინა ივანიშვილი. საერთოდ, სააკაშვილს დაქვემდებარებულ ავანტიურისტებს აქვთ ასეთი ხელწერა — წინასწარ ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს ყველაფერი დამთავრდა, თითქოს ხელისუფლება უკვე დაემხო, თითქოს მთავრობის წევრები უკვე გაიქცნენ ქვეყნიდან. რასაკვირველია, გათვითცნობიერებულ ადამიანებში მათი საქციელი კი იწვევს ღიმილს, მაგრამ მასებზე მაინც მუშაობს. მით უმეტეს მაშინ, როცა პირველი პირები გამოდიან და აღიარებენ, რომ შეცდომა მოუვიდათ, წინასწარ ვერ გათვალეს, რა მოჰყვებოდა ამას. სხვათა შორის, დილიდანვე ისმოდა მთავრობის წევრებისგან, ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა ახსნა-განმარტებები გააკეთონ და ბოდიში მოიხადონო. უკაცრავად, მაგრამ „ბოდიში“ რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა. ვის სჭირდება ამათი ბოდიში, როცა შეიძლება მთელი ქვეყანა რამდენიმე წუთში ააყირავონ?!

ბატონო ბიძინა, თქვენი განცხადება მინდოდა გამეცნო მკითხველისთვის დასაწყისშივე, მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა. თქვენ სწორი პოზიცია დაიკავეთ, თუმცა ამ შემთხვევაშიც იგრძნობა მიმტევებლობა:

„სრულიად ვიზიარებ ჩვენი თანამოქალაქეების გულწრფელ აღშფოთებას საქართველოს პარლამენტში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. დაუშვებელია, საქართველოს პარლამენტში ოკუპანტი სახელმწიფოს წარმომადგენელი ხელმძღვანელობდეს რაიმე სახის ფორუმს. როგორც მატყობინებენ, ეს იყო პროტოკოლური შეცდომა, რომლის პოლიტიკური მნიშვნელობა, სამწუხაროდ, ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რასაც აუცილებლად უნდა მოყვეს შესაბამისი რეაგირება. მე უკვე ვესაუბრე პარლამენტის თავმჯდომარეს, გამოვხატე ჩემი მკაცრი პოზიცია და, რა თქმა უნდა, ჩემი რეკომენდაცია იყო ამ სხდომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა“.

პროტოკოლური შეცდომა, წითელი და მწვანე ღილაკების არევა, ანუ ვერგარჩევა, უცნაური კანონების მიღება, მოსამართლეთა „სასტავის“ ასევე უცნაური შერჩევა... რომელი ერთი ჩამოვთვალო? კი, ბატონო, ჩამოვთვლი კი არა და... ფაქტებს დავდებ, უფრო სწორად, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო ლიდერების განცხადებებს გაგაცნობთ (ალბათ უკვე იცით, მაგრამ მაინც), 20 ივნისს ვინმე გავრილოვის მაიმუნობის შემდეგ რომ გაკეთდა:

**არჩილ თალაკვაძე:** „რუსი დეპუტატების ადგილი საქართველოს პარლამენტში არ არის! ეს







კონფერენცია დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და დუმის წევრებმა პარლამენტი და საქართველო უნდა დატოვონ"!

**სოფო კილაძე**: „ყველაზე საშინელ კოშმარშიც გამიჭირდებოდა იმის წარმოდგენა, რომ ოკუპანტი ქვეყნის დეპუტატი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ადგილს დაიკავებდა. სამშობლოსთვის დაღუპული გმირების სულები ალბათ ადგილს ვერ პოულობენ. ეს არ იყო თავიდან განსაზღვრული. სასწრაფოდ უნდა გავარკვიოთ, ვინ დაუშვა ეს და დადგეს მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი".

**თამარ ჩუგოშვილი**: „რუსი დეპუტატის ნახვამ თავმჯდომარის სკამში უბრალოდ გამანადგურა"!

**თამარ ხულორდავა**: „მრცხვენია! ამას არავითარი გამართლება არ აქვს. ალბათ უნდა მცოდნოდა, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ასამბლეა პარლამენტის შენობაში იმართებოდა. ჩემდა სამარცხვინოდ გუშინდლამდე არც ის ვიცოდი, რომ მას ეს რუსი დეპუტატი გავრილოვი ხელმძღვანელობდა".

**აკაკი ზოიძე**: „მიუღებელია, რაც ახლა ხდება საქართველოს პარლამენტში. ოკუპანტი ქვეყნის პარლამენტის წევრი პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში არის საზარელი და არ მართლდება არანაირი რაციონალური არგუმენტით, რომ მტერსაც უნდა ელაპარაკო! როგორც უმრავლესობის წევრი, ძალიან ვწუხვარ, რომ ეს დავუშვით, ვგრძნობ ჩემს წილ პასუხისმგებლობას და ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას".

ახლა მითხარით, ბატონო ბიძინა, ვიცინო თუ ვიტირო? ბარემ ისიც მითხარით, ეს პარლამენტია თუ საბავშვო ბაღი? დანამდვილებით ვიცი, რომ თქვენ 2016 წელს საპარლამენტო სია არ დაგიკომპლექტებიათ, ეს თემა გიორგი კვირიკაშვილს მიანდეთ, ანუ ენდეთ და თავიდან ბოლომდე მან შეავსო, რა თქმა უნდა, ვიღაც-ვიღაცებთან მოლაპარაკებით. აი, შედეგი: არ ვიცოდი, ეს საშინელებაა, მრცხვენია, ალბათ უნდა მცოდნოდა, ძალიან ვწუხვარ... არ ვიცოდი, რომ ასამბლეა პარლამენტის შენობაში იმართებოდა, ყველაზე საშინელ კოშმარშიც კი გამიჭირდებოდა ამის წარმოდგენა, ამან უბრალოდ გამანადგურა. დიახ, ეს არის შედეგი არცოდნისა, უვიცობისა, კრეტინიზმისა და უპასუხისმგებლობისა. არადა, ყველამ ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, ორი დღე ისხდნენ ვინმე გავრილოვთან ერთად, ორი დღე ბაასობდნენ მართლმადიდებლობაზე ჭეშმარიტი მორწმუნეებივით და ორი დღე ინიავებდნენ მარაოებს. ჯერ ერთი, თუ არ იცოდნენ, რატომ არ იცოდნენ და მეორეც – თუ იცოდნენ, რატომ ვერ გათვალეს, რა მოჰყვებოდა ოკუპანტების გვერდით ჯდომას? მე თუ ვიცოდი, რომ ეს ვინმე გავრილოვი გრიგოლ ვაშაძის ძმაკაცია... თუ ისიც ვიცოდი, რომ ეს პროვოკაცია „ჩერეზ" რუსეთი დაიგეგმა მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას ხელით... თუ ისიც ვიცოდი, რომ რუსეთში იგორ გიორგაძე ჩამოწერეს და მის ადგილზე სააკაშვილი ჩასვეს... თუ ისიც ვიცოდი, რომ დღეს ამ ჩასმულთან ბევრს „ჩერეზ" რუსეთი აქვს კავშირი... თუ ისიც ვიცი, რომ ბოლო დროს საქართველოში ახლად შექმნილი პარტიების ნაწილი ამ ჩასმულის მიერ იმართება ასევე „ჩერეზ" რუსეთი, მაშინ ამათ რაღა ჩემი ფეხები იცოდნენ და იციან, კონფერენციებსა თუ ასამბლეებზე რომ წამოსხდებიან ხოლმე ყოვლისმცოდნეებივით?!

აგერ, წერისას დამეწია ინფორმაცია, ვინმე გავრილოვი აცხადებს, მომხდარის გამო ქართველმა დეპუტატებმა ბოდიში მომიხადესო. არ ვიცი, შეიძლება მორიგ პროვოკაციასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ბოდიში მართლაც მოუხადეს. მაშინ რა გამოდის? ისევ იმ წერტილამდე მივდივართ, საიდანაც დავიწყე, საქმე გვაქვს ან შეგნებულ ღალატთან, ან კიდევ უნებლიე უვიცობასთან. ჰოდა, დავუბრუნდეთ, ბატონო ბიძინა, ზემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს: როდემდე უნდა ვიარით ბეწვის ხიდზე იმის გამო, რომ დამნაშავეები და კრიმინალები გარეთ დაპარპაშებენ და არა მხოლოდ დაპარპაშებენ, ყველას სიკვდილით გვემუქრებიან? დღეს „მავნები" ხშირად ამბობენ, თუ რამე მოხდა, ბიძინას რა უჭირს, ჩაჯდება თვითმფრინავში და ნებისმიერ ქვეყანაში განცხრომით იცხოვრებს, ჩვენ ვიკითხოთო. მე პირადად არ მჯერა, რომ ჩაჯდებით თვითმფრინავში და სადმე იცხოვრებთ ბედნიერად, არ ხართ თქვენ ის კაცი, ასე უპასუხისმგებლოდ მოექცეთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ლამის თავი შეაკლეს სააკაშვილის ბარბაროსულ რეჟიმს. თუმცა არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ თუ არ დაისჯებიან კრიმინალები, აქეთ დაგვსჯიან თქვენთან ერთად. თქვენ არაერთხელ გითქვამთ ჩემთვის, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო და მჯეროდა, რომ ყველაფერი მართლაც კარგად იქნებოდა, მაგრამ 2012 წლის შემდეგ პირველად მაშინ შევშფოთდი, როცა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ტელევიზიით გამოხვედით და ძველ გვარდიას დახმარება სთხოვეთ, ხოლო მეორედ შევშფოთდი ამა წლის 20 ივნისს, როცა ალკოჰოლით და ნარკოტიკებით გაჟღენთილმა ბრბომ პარლამენტის შენობაში შეჭრა სცადა. ვიმეორებ, პირველ შემთხვევაშიც და მეორეშიც ადგილი ჰქონდა ციხის შიგნიდან გატეხვას... აი, წერისას ისევ წამომეწია ინფორმაცია, „ქართული ოცნების" ოფისში შეხვედრა კრება ჩაატარეთ და პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე გადააყენეთ. ასევე გაუშვით პარლამენტიდან ზაქარია ქუცნაშვილიც. არის თუ არა ეს საკმარისი და მოგვარდება თუ არა პრობლემები ამით? არა, არ მოგვარდება, რადგან სახელმწიფო სამსახურები გადატენილია პროვოკატორებით, თავხედი „ნაციონალებით", მოღალატეებით და შინაური მტრებით. **ახლა „ქართულ ოცნებას" სჭირდება ისეთი სტრატეგია და ისეთი ადამიანი, რომელიც უკან დააბრუნებს განაწყენებულ თანამებრძოლებს, თანამოაზრეებს და თავგანწირულ ადამიანებს. ასევე საჭიროა ისეთი ადამიანი, რომელიც კარგად ამოიცნობს მტრებს, გაცხრილავს როგორც პარტიას, ასევე სახელმწიფო სამსახურებს სააკაშვილის ნარჩენებისგან. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანი „ქართულ ოცნებას" ჰყავს – ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც, არ გინდოდათ, მაგრამ იძულებით გადაგაყენებინეს. დიახ, ვინმეს მოსწონს თუ არა, ღარიბაშვილი არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია, რადიკალურად შეცვალოს სიტუაცია არა მხოლოდ პარტიაში, არამედ მთავრობასა და პარლამენტშიც**. ალბათ იტყვით, მეტი რა ვქნა, ხომ დავაბრუნე ირაკლი პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელადო? არა, ბატონო ბიძინა, ეს არ არის სრულფასოვანი დაბრუნება, ეს არის დაბრუნება უფლებების გარეშე. აშკარად ჩანს, რომ ის ვერ ერევა საკვანძო საკითხებში. თუ მისი საქმე მხოლოდ უცხოელ ელჩებთან შეხვედრაა, მაშინ ეს მხოლოდ ფორმალობა ყოფილა. თუმცა, ჩემი აზრით, ირაკლი შემონახული გყავთ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის და ძალიან გამიხარდება, თუ ჩემი მოსაზრება გამართლდება. სხვათა შორის, ის ზოგიერთი თქვენი „მეგობრისგან" განსხვავებით არ არის მოღალატე... დიახ, მოღალატე, როგორც ერთ დროს „განგდებული" და შემდეგ ჩახუტებული გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც ამ მძიმე დღეებში ულტიმატუმიც კი წამოგიყენათ, ჯერ გახარია უნდა გადადგეს, შემდეგ კი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნოსო. იცით, რატომ გიყენებენ ულტიმატუმებს? იცით, რატომ უჩნდებათ ვირეშმაკებს სურვილი უკან დაბრუნებისა? იმიტომ, რომ ტენდერებიდან „მოტეხილი" 900 მილიონი ლარი შერჩათ და კიდევ ის შერჩათ, რეგიონულ მმართველობებში თავიანთი გაუნათლებელი და უდღეური ძმაკაცები რომ შეყარეს. ერთ შეხვედრას გაგახსენებთ: ადგილობრივი არჩევნების დროს მაგიდასთან იჯექით ერთ ერთგულ ადამიანთან, კვირიკაშვილთან და კიდევ რამდენიმე ანგარიშგასაწევ პიროვნებასთან ერთად. ის ერთგული ადამიანი გარწმუნებდათ, რომ კვირიკაშვილის მიერ დაკომპლექტებული „სასტავი" იყო „ხლამი", სიაში ჩაწერილი ხალხის მიშვება ადგილობრივ მმართველობებში იყო დაუშვებელი. თქვენ დაეთანხმეთ და კვირიკაშვილს უთხარით, ამ ადამიანს დაუჯერეთ, ახალი სია ერთად შეადგინეთო. იმან თავი დაგიქნიათ, მაგრამ გამოვიდა შეხვედრიდან, ჩაჯდა მანქანაში, წავიდა და სწორედ ის დაწუნებული სია დაამტკიცა, ვინც კი საწინააღმდეგო რამის თქმა შებედა, თავს იმართლებდა, რა ვქნა, ეს ჩემი „ტრუსიკის" მეგობარია, ის ჩემი ცოლის კლასელია, ზოგი მეზობელია, სოგი თანასოფლელი, ზოგი კიდევ სიდედრის დეიდაშვილი მამის მხრიდანო. შედეგად კი მივიღეთ რა? ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ლამის კატასტროფა მოხდა – კვირიკაშვილის ძმაკაცებმა მოიპარეს ფული, გაყიდეს საწვავი, იგრიალეს რესტორნებში, არ დააკარეს თითი თითზე და რომ არა თქვენ, რომ არა ჩვენ, რომ არა ის ერთგული ადამიანი, წაგება გარდაუვალი იყო. აი, ახლა ეს უზნეო ადამიანი ბედავს და ასეთი წერილით მოგმართავთ.

**ბატონო ბიძინა,** ალბათ წაიკითხეთ ეს წერილი. თუ არ წაიკითხეთ, უთუოდ გეტყოდნენ, მოგიყვებოდნენ. ჩემი აზრით, კვირიკაშვილი ცდილობს, მღვრიე წყალში ერთი კაი ლოქო დაიჭიროს. მის უკან კი ვხედავ ქუმსიშვილ-ხაზარაძის ლანდებს. იცით, კიდევ რას ვხედავ? რუსთაველზე აქციებმა ზუსტად იგივე ფორმა მიიღო, როგორიც ჰქონდა „ბასიანთან" დაკავშირებულ აქციებს – თავიდან ე.წ. პოლიტიკოსები გაერივნენ, მერე ეს პოლიტიკოსები სადღაც გაქრნენ, წინა პლანზე გამოსწიეს ჯერ ვიღაც ე.წ. ცნობადი სახეები, ვითომ ლიბერალები, ბოლოს კი მიკროფონები მიუგდეს ყველას, სადაც დაიწყო დიდი ბოდიალი. აბა, უყურეთ, უგულავა მივიდა – ლამის ჩაქოლეს, ვაშაძე მივიდა – ლამის ჩაქოლეს, პოლიტიკოსები გვეზიზღებაო. ამ დროს აქციებს უძღვებიან „ნაცი" მშვილდაძე და მოჟურნალისტო ელემენტი, ასევე გავარვარებული „ნაცი" კაპანაძე და მასთან გათანაბრებული პირები. ესე იგი, აქციებს მართავენ „ნაცები" და მომენტებში ვითომ ქოლავენ „ნაცებს". პირდაპირ ხელს არ ვადებ, დოკუმენტი არ გამაჩნია, მაგრამ მიჩნდება გონივრული ეჭვი, ხომ არ არის ეს ყველაფერი ამ „სასტავის" მიერ მართული? ასევე უნდა დავაკვირდეთ მოთხოვნებს: პირველი – გიორგი გახარიას გადადგომა, მეორე – ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება პროპორციული სისტემით. ბატონო ბიძინა, ვიღაცას აშკარად უნდა გახარიას მოშორება, პირველ დღეებში ითხოვდნენ ვახტანგ გომელაურის გადადგომასაც, მერე ეს მოთხოვნა მოიხსნა. აქციის მონაწილეების დიდ ნაწილს თუ დავაკვირდებით, ისეთი ხალხია, საერთოდ არ უნდა აინტერესებდეთ არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება თუ ტრაპეციული სისტემით, ეს საკითხი შემოგდებულია ისე, დამატებით, რათა არ ვთქვათ, რომ მხოლოდ გახარიას ერჩიან. თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ, ეს საქმე არ კეთდება „ნაციონალების" გარეშე, 22 ივნისს ყველანაირად გაიშიფრნენ და წამოსცდათ კიდეც: „მიშა, ჰამოდი"! პრინციპში, კვირიკაშვილი და „ნაცები" ვინ გაყო, მაგან არ გადატენა სახელმწიფო სტრუქტურები მიხოს კადრებით? დანამდვილებით ვიცი, ამ აქციებს, რეჟისორული თვალსაზრისით ნიკიტა გვარამია მართავს და რაღაც სირთაოზულ იმპროვიზაციებს აკეთებს, მაგრამ ვიმეორებ: ამათი და იმათი ინტერესები აშკარად დაემთხვა ერთმანეთს და შეუტიეს კიდევაც გიორგი გახარიას.

მოკლედ, ამ თემაზე თავს აღარ შეგაწყენთ... ფაქტობრივად, შიდა და გარე მტრებმა საწადელს მიაღწიეს, პარლამენტში გათამაშებული მასკარადის შემდეგ ვლადიმერ პუტინმა ჯერ რუსი ტურისტები აგვაცალა ფუკასავით, შემდეგ კი რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით ავიარეისებიც აკრძალა. პერიოდულად ჩნდება ინფორმაცია, რომ თავიანთ ბაზარზე აღარ შეუშვებენ „ბორჯომს" და ქართულ ღვინოებს, ასევე აიკრძალება სხვა პროდუქტების შეტანაც.

ახლა სიტყვა თქვენზეა... კონკრეტულად კი სამართალდამცავებზე, თუ არ დაისაჯა ყველა დამნაშავე, შემოდგომაზე უარესს უნდა ველოდოთ. დამიჯერეთ, ავანტიურისტების დანდობა აღარ შეიძლება.

პატივისცემით,
**გელა ხედელაშვილი**









# მაქვს ინფორმაცია, რომ ამ აქციებს კვირიკაშვილი და ხაზარაძე აფინანსებენ, ხოლო გიორგი გახარიას გადადგომის მოთხოვნა პირდაპირ არის დაკავშირებული ანაკლიის პორტის თემასთან

*გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე ბესო მიქავა.*

**— ბატონო ბესო, დაახლოებით ერთი წლის წინ თქვენ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ ახალგაზრდული აქციები „ბასიანის“ კლუბის ინიციატივით, დაფინანსებული და მხარდაჭერილი იყო ხაზარაძე-კვირიკაშვილის მიერ და დასძენდით, ესენი მოაწყობენ გადატრიალებასო. რა გაძლევდათ ამის თქმის საფუძველს?**

— დიახ, მე მაშინ ვთქვი, რომ ეს აქცია დაფინანსებულია ხაზარაძე-კვირიკაშვილის მიერ, ხოლო მომდევნო ნაბიჯი იქნება ბიძინა ივანიშვილის ჩამოგდება-მეთქი. მაშინ კვირიკაშვილი ბიძინა ივანიშვილის მარჯვენა ხელად ითვლებოდა, ამიტომ ჩემი მოსაზრება ყველას გაუკვირდა, მათ შორის ისეთ გონიერ



კაცს, როგორიც თქვენი რედაქტორია. მაშინ კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრი ბრძანდებოდა და მართლაც გასაკვირი იყო, რატომ უნდა შებრძოლებოდა საკუთარ თავს და რატომ უნდა დაეჭირა მხარი ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებისათვის.

საქმე იმაშია, რომ, სანამ ეს ე.წ. „ბასიანის“ მიტინგები დაიწყებოდა, მე მქონდა ინფორმაცია, რომ კვირიკაშვილი გაურიგდა ხაზარაძეს ანაკლიის პორტთან დაკავშირებით. გაიხსენეთ, მაშინ მომიტინგეები, სხვა მოთხოვნებთან ერთად, ითხოვდნენ გიორგი გახარიას გადადგომას.

როგორც ყველამ ვიცით, ხაზარაძემ და მისმა კომპანიამ, ანაკლიის პორტის მშენებლობის ნებართვა მოიპოვა. ამ საქმეში მას სოლიდური რაოდენობის ფულადი ინვესტიცია უნდა ჩაედო. როცა საქმე დაიძრა, მან ფული სახელმწიფოს მოსთხოვა. კვირიკაშვილი დასთანხმდა ამას, თუმცა ტენდერში ხაზარაძე კერძო კომპანიის სახელით იღებდა მონაწილეობას. შეგახსენებთ, ანაკლიის პორტის მშენებლობა არა მხოლოდ სახელმწიფოსთვის არის უდიდესი მოგების მომტანი, არამედ კერძოდ, ბიზნესისთვისაც. ვინც ანაკლიის პორტის მფლობელი იქნება, ივანიშვილი კი არა, ულტრამილიარდერიც კი არავინ იქნება იმასთან შედარებით.

მაშინ ეკონომიკის მინისტრი იყო გიორგი გახარია, რომელსაც სახელმწიფოსგან თანხის გადაცემის ნებართვაზე ხელი უნდა მოეწერა. ჩემი ინფორმაციით, გახარიამ ამაზე ხელი არ მოაწერა. ეს ამბავი ბიძინა ივანიშვილის ყურამდე მივიდა. ბატონმა ბიძინამ გახარიას მხარე დაიჭირა, რადგან გახარიას პოზიცია ნამდვილად სახელმწიფოებრივი იყო.

კვირიკაშვილი კვლავ რჩებოდა პრემიერ-მინისტრად ბიძინა ივანიშვილისგან მხარდაჭერილი, მაგრამ, როგორც ბრუტუსი, იგი ისეთივე უმადური აღმოჩნდა, სხვას რა უნდა მოელოდეს კაცი კვირიკაშვილისგან, რომელიც სააკაშვილის ერთ-ერთი შტაბის უფროსი და ყოფილი მოქკავშირელი იყო?!

**— კი, მაგრამ, ყველას გვახსოვს, როგორ აგინა კვრიკაშვილმა მელიას პარლამენტში და როგორ შეიძლებოდა „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ყოფილიყო?**

— ბიძინა ივანიშვილის თვალში კვირიკაშვილს ავტორიტეტი შელახული ჰქონდა ხაზარაძის მხარდაჭერის გამო და თუ გახსოვთ, მელიამ მას პასუხი არც კი მოსთხოვა შეურაცხყოფაზე. მეტიც, ამ ინციდენტის მერე მელიამ თქვა, კვირიკაშვილი ყველაზე საუკეთეოს მინისტრი იყოო. ამიტომ გახლდათ ეს სპექტაკლი.

ამით კვრიკაშვილმა ვერ შეძლო „გათეთრება“. იგი ხვდებოდა, რომ მაინც მოხსნიდნენ და დაიწყო „ბასიანის“ აქციებისადმი მხარდამჭერი ნაბიჯების გადადგმა. როგორც ჩანს, მას სურდა მომხდარიყო შეტაკება. მაშინ მე მომიტინგეებში მყოფ ჩემს ახლობლებს შევთავაზე წინადადება — მოვითხოვოთ კვირიკაშვილის გადადგომა-მეთქი. მოვაწყვეთ კონტრაქცია და მართლაც გავაჟღერეთ კვირიკაშვილის გადადგომის ულტიმატუმი. ამასობაში გახარიამ ე.წ. ბოდიშიც მოიხადა, კვირიკაშვილი მიხვდა, რომ საფრთხე შეიქმნა და აქცია დაშალა. ცოტა ხნის მერე, რატომღაც, სამღვდელოების გარკვეულ ნაწილს მოუნდა საერთო ეროვნული ფორუმის ჩატარება. მაშინ გადმომცეს ფოტოსურათი, სადაც ჩანდა, რომ კვირიკაშვილი ეახლა ძმას ხეობაში მეუფე იობს. ეპარქიის ერთ-ერთი მღვდელი კურირებდა მაშინ იმ ფორუმის ორგანიზებას. სავარაუდოდ, ყოველივე ამის ფინანსური დახმარება კვირიკაშვილმა გასწია.

კვირიკაშვილს, საბოლოოდ, ეს ავანტურაც არ გამოუვიდა და ის გაათავისუფლეს.

ყოფილი პრემიერი თავის გათავისუფლებაში, რა თქმა უნდა, გიორგი გახარიას როლს ხედავდა, რადგან მის ავტორიტეტს ლაქები სწორედ ანაკლიის პორტის საკითხებიდან დაეტყო.

**— დღევანდელ თემებს რომ მივუბრუნდეთ. აქციები დღეს სხვა ჭრილში მიმდინარეობს, მაგრამ გახარიას გადადგომას კვლავ ითხოვენ. აქ რაიმე კავშირები ხომ არ უნდა ვეძებოთ?**

— დღეს აქციები სწორედაც რომ ამ ფარული მიმართულებით მიმდინარეობს.

ანაკლიის პორტს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული დანიშნულებაც აქვს. როგორც კი ანაკლიაში შემოვა უცხო ქვეყნის სამხედრო ძალა, ჩათვალეთ, რომ რუსეთი ურალამდე, განადგურებულია, ხოლო ოჩამჩირეში რომ წყალქვეშა ნავების ბაზაა, რუსეთისთვის ამ ბაზის დანიშნულება ნულის ტოლი ხდება. მეტიც, ანაკლიის პორტს აშშ-ის უზარმაზარი, სამხედრო დანიშნულების ტანკერების მიღება შეუძლია, რასაც ფოთის პორტიც კი ვერ ახერხებს.

ანაკლია, ფაქტობრივად, არის სამხედრო ბაზა.

თუ საქართველო გამოცხადდება ბუფერულ ზონად რუსეთ-ამერიკის მიერ, ან აშშ შემოვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ კავკასიაში, ან რუსეთის სახელმწიფო დაიბრუნებს კვლავ მთელ კავკასიას. ამაზეა საუბარი. სხვა შემთხვევაში, აქ ყოველთვის იქნება ომი და დაძაბულობა. ჩვენ კი ვხდებით ამ საშინელი დაპირისპირების პოლიგონი.

სხვათა შორის, მედვედევის პრეზიდენტობისას მიიღეს დადგენილება, რომ რუსეთს უფლება ეძლევა გამოიყენოს მინი-ატომური იარაღი, თუ მის საზღვრებს მიუახლოვდება მტრულად განწყობილი უცხო ზესახელმწიფოს ჯარი.

ასე რომ, აქ უფრო ღრმა პოლიტიკური გათვლებია, ვიდრე ჩვენი ე.წ.



პოლიტიკოსები ფიქრობენ ორივე პოლიტიკურ ბანაკში — ნაციონალებში, თავიანთ მოღალატურ კასტაში და ფსევდოქოცებში, რომლებიც გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ყიდიან ქვეყნის ინტერესებს...

ისტორიულად, მსოფლიოს დიდი მაფიოზებიც კი ყველაფერზე მიდიოდნენ, საკუთარი ქვეყნის გაყიდვის გარდა, მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსები რა თამაშს თამაშობენ, კაცმა არ იცის.

**— როგორც ვხედავთ, აქ ინტერესები იკვეთება რუსეთისა და აშშ-ის, ამ შედარებით პატარა აქციის დაფარული მიზეზებიც სინამდვილეში აქ უნდა ვეძებოთ?**

— რუსეთში დღეს ჩვენზე არანაკლებ მძიმე ვითარებაა. იქაც არიან ქვეყნის გამყიდველები. ხომ გახსოვთ, ელცინმა ამერიკის კონგრესში როგორ თქვა — გაუმარჯოს ამერიკას, ფარავდეს მას ღმერთიო?! ამაზე დიდი ღალატი, რუსეთის სახელმწიფოსთვის, წარმოგიდგენიათ?

დღეს რუსეთის ხელისუფლებაში საკმაოდ დიდი ძალა აქვს სომხურ ლობს. ქართული ლობი იქ, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, ქართველები განდევნილი არიან რუსეთის მმართველი წრეებიდან. ადგილი უჭირავთ სომხებს, უკაცრავად, არმენებს, რადგან სომხები სხვა ხალხია, ხოლო არმენები — სხვა, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

რუსმა პოლიტიკოსმა მაქსიმ შევჩენკომ ამასწინათ პირდაპირ თქვა: რუსეთის ინტერესები კავკასიაში სომხების ინტერესებს ეწირებაო, რამეთუ ლავროვი მედვედევთან ერთად ყველანაირად ცდილობს, როგორმე ქართული პოლიტიკა ჩაიძიროს და გაქრეს კავკასიაში. საქართველომ უნდა დაკარგოს პოლიტიკური ლიდერობის როლი მთლიან კავკასიაში.

გეი-პარადის ჩატარებაც მაგიტომ უნდოდათ, რადგან ეს ყოვლად მიუღებელია ჩვენი ჩრდილო კავკასიელი ძმებისთვის. გეი-პარადების ჩატარებით ჩვენ ვკარგავთ ზნეობრივი ლიდერის სტატუსს რეგიონში. მერე ტრ..ები მიუშვირეს რუს მესაზღვრეებს. ყოველივე ეს წინასწარ ჩაფიქრებული იყო.

**— დიახ, რუსეთს აწყობს კიდევაც ჩვენი ზნეობრივი დასუსტებაც, ეკონომიკურ-პოლიტიკურთან ერთად, რათა კავკასიაში დააცალკევოს სახელმწიფოები და სამართავად იოლი იყოს მისთვის.**

— არა მარტო რუსეთს, ჩემო კარგო.

გაიხსენეთ პაშინიანის მოსვლა სომხეთის ხელისუფლებაში. ყველამ ვიცით, რომ ის აშშ-ის მხარდაჭერით მოვიდა სომხეთის მთავრობაში. რუსეთს ამაზე პროტესტი არ განუცხადებია. ჩემი აზრით, აშშ-ის არმენული ლობი გაურიგდა რუსეთის არმენულ ლობს. არ დაგავიწყდეთ, სომხებს აქვთ „ველიკაია არმენიას“ სანუკვარი იდეა. აფხაზეთში არმენები ჭარბობენ უკვე, როსტოვის დიდ ნაწილში ფართოდ არიან განფენილი. საქართველოშიც ბევრი არიან, მაგრამ **როცა ვწუხვართ, რომ ჩვენთან შემოდიან მრავალრიცხოვანი უცხოტომელები ირანიდან და სირიიდან, სინამდვილეში, ისინი გვარგადაკეთებული, შთამომავლობით ძველი არმენები არიან** — ყიდულობენ მიწებს, დებენ ინვესტიციებს ჩვენს ქვეყანაში. ეს ფაქტია, მეგობრებო. ასე ხდება ქართული ტერიტორიების ათვისება რეგიონებში, იგივე სამცხე-ჯავახეთში და ბევრ სხვა ადგილებში.

**— ანუ, არმენები იღებენ ლიდერობას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც, ამას ამტკიცებთ?**

— ჩემი აზრით, ამერიკული და არმენული ძლიერი ლობი გარიგდა.

**— რაზე?**

— ეს არის რუსეთის დაშლა და მართლმადიდებლობის მოსპობა.

კიდევაც განაცხადა ბჟეზინსკიმ,



ვენი მთავარი მტერი არის მართლმადიდებლობაო.

არმენული ლობი, რომელიც მძლავრობს დღეს რუსეთში, მან უნდა ჩააბაროს ეს სახელმწიფო. ამის სანაცვლოდ არმენია მიიღებს მთლიანად კავკასიას.

მე შევარდნაძისტი რომ არ გახლავართ, ყველამ იცის, მაგრამ მან, იმ „თეთრმა მელამ“ გამოზარდა თავისი შვილიშვილი სოფო შევარდნაძე, რომელმაც ამას წინათ პირდაპირ ჰკითხა პაშინიანს – საით მიდიხარ, საით მიგყავს სახელმწიფო. თუ ევრაზიულ კავშირში ხართ, ევროპისკენ რატომ იწევთო? პაშინიანს დიდხანს არაფერი უთქვამს, მერე აბსურდული პასუხი გასცა: სასამართლო სისტემა უნდა მოვაწყოთ ევროპული სტრუქტურების შესაბამისადო. ეს იყო პრიმიტიული პასუხი, მაგრამ აქ გამოჩნდა სოფო შევარდნაძის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და შევარდნაძისეული გაიძვერული ნიჭი.

ჩვენს ახლანდელ აქციაზეც გამოჩნდა სომეხი ეროვნების კაცი, მოლოტოვის კოქტეილებით რომ ცდილობდა მომიტინგეებში არეულობის შეტანას.

საქართველოში დღეს არეულობა, სამოქალაქო ომი და დაქცევა არმენებს აწყობს და კიდევ სხვებსაც.

**– ეჭვი სხვა მეზობლებზეც გაქვთ?**

– თურქეთი ბათუმს ითხოვს დასავლეთ საქართველოსთან ერთად. მისცემენ ამას და დამთავრდება პრეტენზიები.

რაც შეეხება აზერბაიჯანს და ახლახან შექმნილ კონფლიქტს დავით გარეჯთან დაკავშირებით.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს 1978 წლამდე და მერეც დავით გარეჯს საქართველოს კულტურის სამინისტრო მუზეუმ-ნაკრძალად აღიარებდა.

ზვიად გამსახურდიამ ეროვნული მოძრაობა დავით გარეჯიდან დაიწყო. იმდროინდელმა კულტურის მინისტრმა და გარეჯის მუზეუმის დირექტორმა წერილი გაუგზავნეს რუსეთის სასაზღვრო ჯარის ხელმძღვანელობას თხოვნით, პოლიგონი სხვაგან გადაეტანათ გარეჯის სიახლოვიდან.

1991 წლის 30 აგვისტოს აზერბაიჯანმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო (არა 9 აპრილს, როგორც ეს გამოცხადდა მაშინ).მაგრამ, აუცილებლად დაწერეთ, რა მოხდა 1990 წელს. ამ წელს საბჭოთა საქართველომ გამოაცხადა, რომ საქართველო 70 წელიწადი ოკუპირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მიერ. თვითონ ოკუპანტმა აღიარა, რომ ის გახლდათ მემკვიდრე საოკუპაციო რეჟიმის და გააუქმა საბჭოთა საქართველო, რითაც ყველა ხელშეკრულება, რაც 1918 წლის 26 მაისის მერე დაიდო, გაუქმდა. მერე ზვიად გამსახურდიამ რეფერენდუმის საფუძველზე, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე დაყრდნობით, დამოუკიდებლობა აღადგინა, რითაც აღდგა ერთა ლიგის მიერ დამტკიცებული ძველი ტერიტორიული საზღვრები. შეგახსენებთ, გაერო ერთა ლიგის კანონმემკვიდრეა.

როცა აზერბაიჯანმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, ავტომატურად აღიარა ჩვენი საზღვრებიც, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტიც და ტერიტორიებიც.

**– დღევანდელ კრიზისს დავუბრუნდეთ. თქვენი აზრით, რა ჩააცხრობს ამ შიდაკონფლიქტებს?**

– 2019 წელი ეროვნულმა კომიტეტმა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას წლად გამოვაცხადეთ. მათ წლეულს 80 წელი შეუსრულდათ. ჩვენი ინიციატივაა, ამ ორი დიდებული ადამიანის ძეგლი დაიდგას თბილისში.

დღევანდელმა პარლამენტმა უნდა აღიაროს, რომ 1992 წელს მოხდა საქართველოს ოკუპაცია-ანექსია. 1993 წელს კი საქართველოს ინტერვენცია, სხვათა შორის, უკრაინიდან ბალტინის ჯარის მიერ და მეორედ დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება.



დღეს ეს ანტიოკუპანტები რატომღაც ხმას არ იღებენ, რომ მოხდეს საქართველოს დეოკუპაცია. სახელმწიფომ უნდა დაიწყოს 1991–92 წლების პუტჩის გამოძიება. დღეს უამრავი ყოფილი პუტჩისტი ზის მთავრობაში, ხოლო ყოფილი პუტჩისტი არ არსებობს. როგორც ადრე დააქციეს ქვეყანა, ახლაც იგივეს გაიმეორებენ და, როგორც ვხედავთ, იმეორებენ კიდევაც.

არ შეიძლება მეზობელ ქვეყნებთან მუდმივი კონფლიქტი გვქონდეს.

ლიტვას და ლატვიას დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ რუსეთთან. გერმანიასთანაც მშვენივრად ურთიერთობენ...

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, გაგიკვირდებათ და, ქვეყნის გადარჩენა პირდაპირ არის მიბმული კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენასთან.

ყოველთვის იქნებიან ჯიბგირები ქვეყანაში, რომლებიც ბიზნესით ფულს ვერ შოულობენ მაგრამ პოლიტიკური ავანტურებით და გადატრიალებების ხარჯზე ახერხებენ მილიარდების ჩაჯიბვას. „ნაცმოძრაობა“ ზუსტად ასეთი ჯიბგირების გაერთიანებაა. ამიტომ გადარჩენის გზას ვთავაზობთ ბატონ ბიძინასაც და საქართველოსაც.

არჩევნები უნდა დაინიშნოს. ოღონდ ეს არჩევნები უნდა დანიშნოს უზენაესმა საბჭომ. აირჩევა ახალი პარლამენტი და დაიწყება ახალი ურთიერთობების დალაგება ყველა სახელმწიფოსთან.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვის სურს საქართველო რუსეთ-ამერიკის საომარ პოლიგონად აქციოს?

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რამაც ლამის თავდაყირა დააყენა ისედაც საძირკველმორყეული ქვეყანა, — **„გეიპარადის“ აკრძალვის კატეგორიული მოთხოვნა გახდა ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მხრიდან!**

შინაგან საქმეთა მინისტრის გაბედულმა განცხადებამ — **„რომ იგი ვერ დაიცავს გეიმეაღლუმეთა უსაფრთხოებას“**ბუნებრივია, **ევრო-ამერიკული გზის ღალატად ჩაეთვალა და საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სხვა მიზეზი მოძებნილიყო ასეთი მინისტრის და ირიბად მისი მხარდამჭერი მთავრობის მოსაშორებლად!**

და, მოიძებნა კიდეც:

ამჯერად **„მართლმადიდებელთა კონგრესის“**სახელს ამოფარებული, **რუსეთის დუმის დეპუტატი გავრილოვი ჩაერთო საქმეში,** უტყუარია, იგი რუსულ-ამერიკული ძალების ერთობლივი მოქმედებით იქნა ჩამოყვანილი თბილისში, ქვეყნის უმაღლესი ტრიბუნაც მოუმზადეს, ქვეყნის უმაღლესი კანონმდებლის სავარძელშიც ჩასვეს და რამდენიმე წუთში დაიწყო კიდეც საქართველოს დაქცევის განხორციელება!




მთელმა ქვეყანამ ნახა და განიცადა 20 ივნისის ღამეს, ნაც-ხროვის, სახელმწიფო მმართველობის დამხობის ნაცადი სცენარი, რომელიც ამჯერად აშკარად ჩაუვარდათ, მაგრამ სიახლე მაინც ვიხილეთ, — **მათ რიგებში, ღიად და დაუფარავად, პირველად გამოჩნდნენ ცისარტყელასფერდროშიანი პიდარასტები და ლესბოსელები, რაც „წარმატებად“ უნდა ჩაეთვალოთ მათ!**

ხუმრობად ნურავინ ჩამითვლის თემიდან გადახვევას, ეს ბინძური საქმე აქ არ მთავრდება, იგი დიდი არეულობის დასაწყისია მხოლოდ!

ამ თემას უფრო ღრმად სხვა დროს შევეხები. ამჯერად, ნაცბანდის არშემდგარი პუტჩის ღამის სტუმრებზე და მათი „პრობლემების მოგვარებაზე“ მინდა ჩემი წინადადება გაგიზიაროთ:

**უმარტივესად შეიძლება „გეიპარადის“ ინიციატორთა სურვილის დაკმაყოფილება!**

ყველასათვის ცნობილია, თუ საიდან მოდის და ვინ აფინანსებს ამ უკანასკნელთ, რომლებიც რამდენიმე წელიწადია ძალადობენ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობაზე – მოაწყონ მასობრივი მსვლელობები და გეი-პარადები სადაც ისინი, ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი ხალხის ცხოვრების წესის საწინააღმდეგო ქცევების დემონსტრირებას მოახდენენ, ცოცხალ რეკლამას გაუწევენ მამათმავლობას, ლესბოსელობას, ერთნაირსქესიანთა ქორწინების პროპაგანდას და კიდევ უამრავ სხვა სიბილწეს, რაც ჯანსაღად მოაზროვნე და ჯანმრთელი საზოგადოებისთვის მიუღებელია.

გამომდინარე აქედან, ყოველგვარი ძალადობის გარეშე მივუთითოთ მათ:

**მიაკითხონ ჩვენი ქვეყნის სინამდვილისთვის უცხო და მიუღებელი წესის შემომტანებს და დამფინანსებლებს, — ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ევროკავშირის შტაბბინას თბილისში!**

რადგანაც, **„ველური ქართველების“ გარემოცვაში შეუძლებელია პიდარასტების და ლესბოსელების ერთმანეთისადმი სიყვარულის საჯაროდ გამოხატვა,** ითავოს და შეიფაროს ისინი აშშ-ს საელჩომ, რომელსაც საუკეთესო საშუალება გააჩნია დიღომში საელჩოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ, სადაც იმაზე ბევრად მეტი პიდარასტი და ლესბოსელი მოთავსდება, ვიდრე იგი საქართველოში შეიძლება მოგროვდეს.

დავით გარეჯი, გეიპარადი, რუსეთის დუმის დეპუტატ გავრილოვის ჩამოყვანა, რუსეთთან ურთიერთობის ლამის საომარ მდგომარეობამდე მიყვანა, პუტჩის მცდელობა, ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, ისედაც მიძინებულ ქვეყნის მოსახლეობას, **— ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა დაავიწყონ ანაკლიაში და საქართველო იქცეს ამერიკასა და რუსეთს შორის საომარ პოლიგონად!**

**დავით ქობალია**
598 70 86 00



# საქართველოს ეკონომიკა რომ განვითარდეს, საჭიროა რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები

***ვაგრძელებთ საუბარს „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ დამფუძნებელთან***
*გია ჟორჟოლიანთან:*

**— ბატონო გია, წინა ინტერვიუ ამ ფრაზით დავამთავრეთ — ქვეყნის განვითარება სოფლის მეურნეობით უნდა დავიწყოთო. რატომ სოფლის მეურნეობით?**

— გავრცელებულია მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობა მაღალმწარმოებლური არ არის და მაღალი შრომისნაყოფიერება არ აქვს. რა თქმა უნდა, ეს ასეა. თუმცა, სოფლად მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს, რომელთაც გარკვეული რესურსი აქვთ. ეს რესურსია, თუნდაც, მცირე ნაკვეთები, საქმიანობის წარმართვის გარკვეული ცოდნა. დიახ, ვახსენე, რომ განვითარება სოფლის მეურნეობით უნდა დავიწყოთ, მაგრამ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ? — მან ორგანიზაციული როლი უნდა იტვირთოს, რაც უზრუნველყოფს, რომ ადამიანის შრომის შედეგად შექმნილი პროდუქტი რეალიზებული იქნება. ქართველები თავმომწონე ხალხია და ბუნებრივია, საკუთარი შვილებისთვის ღირსეული ცხოვრება უნდათ. აქ, მარტო შემოსავალზე არ არის საუბარი, არამედ ასე ადამიანი მუშაობს და ამით თვითრეალიზებას ახდენს. იცით, რატომ არის სოციალური დახმარება გადარჩენაზე ორიენტირებული ეკონომიკა? — იგი ადამიანის ფსიქოლოგიურ დეგრადირებას იწვევს. ეს არ გახლავთ მხოლოდ შემოსავლის ნაკლებობა. ადამიანი შრომაში ცხოვრების უდიდეს ნაწილს ატარებს და საკუთარი თავის რეალიზებას ახდენს. საბჭოთა პერიოდში ჩვენი განვითარების, ძირითადი, სფეროები მაინც შემოქმედებითი საქმიანობა — მეცნიერება, ხელოვნება და ა.შ. იყო. მახსენდება, 60-იანი წლების მწერლობა — გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური და სხვანი რომელთაგან ზოგი მეტალურგი იყო, რაც პარალელურად, განვითარებასთან არის კავშირში. წარმოიდგინეთ, საქართველოში თვითმფრინავების ქარხანა გვქონდა. მსოფლიოში მხოლოდ 30 ქვეყანა აკეთებს თვითმფრინავებს, რაც საკმაოდ რთულია. ამ 30-იდან მხოლოდ 17 აწარმოებს სამხედრო თვითმფრინავებს. დღესაც, პანტიკო თორდიას აქვს საკონსტრუქტორო ბიურო, სადაც ძალიან კვალიფიციური ადამიანები მუშაობენ, რომელთაც ეს პოტენციალი აქვთ. მსგავსი რამ, სახელმწიფოს რომ არ ჰქონდეს, უნდა შექმნას და თუკი გაქვს უნდა ეცადო, რომ ყველა შემთხვევაში განავითარო. დღეს, ამ რესურსის, პოტენციალის გამოყენება არ ხდება, ეს ფაქტია.

**— თქვენ ბრძანებთ, ადამიანების შრომის შედეგის რეალიზება უნდა მოხდესო. თბილისში, დაახლოებით, მილიონ ნახევარი ადამიანი ცხოვრობს. ვინმეს აქვს გაანგარიშებული რამდენი კილოგრამი და რა პროდუქტი სჭირდება ქალაქს? როგორ დავიჯეროთ: ქართული სოფელი ქალაქს ამარაგებს და მას ეს პროდუქტი არ ჰყოფნის? სამწუხაროდ, პროდუქციის 70% შემოტანილია.**

— მართალი ბრძანდებით, სურსათის 70%, რომელიც მაღაზიაში იყიდება და მოვიხმართ, იმპორტირებულია. სხვა ყველაფერი 100%-ით შემოტანილია. რაშია საქმე, რატომ არ იყიდება ქართული პროდუქცია და რატომ აქვს მეტი გასავალი უცხოურს? — იგი იაფი და ხარისხიანია. რა თქმა უნდა, ხარისხი მიღწევადია. განა, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა ხარისხიანი პროდუქცია ვაწარმოოთ, მაგრამ ამას სათანადო პირობები სჭირდება. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: თუ გვინდა მეურნეობა ინტენსიური იყოს, ანუ, ადამიანებმა პროდუქციის რეალიზება მოახდინონ, უნდა შექმნან საექსპორტო, კონკურენტული პროდუქცია. ჩვენ კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს — ექსპორტი საერთოდ არ გაგვაჩნია და ყველაფერი რაც გვაქვს, იმპორტია. ჩვენი ეკონომიკა მომხმარებლურია, რაც წარმოუდგენელია. ეს უნდა დამთავრდეს, სხვაგვარად, შეუძლებელია. ასე ვეღარ გაგრძელდება. სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით კი თურქეთის ეკონომიკაზე ვართ მიბმული. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა მონაცემები: ყველაზე მაღალი შემოსავლები, ბანკების გარდა, 150 კომპანიას აქვს. პირველ ადგილზეა „სოკარი“. მისი შემოსავალი წელიწადში მილიარდ 400 მილიონია. მეორე ადგილზეა „ენერგო პრო ჯორჯია“, მესამეზე — ფარმაცევტული კომპანიები, ამას მოსდევს კომპანიები, რომლებიც „სოკარ-თან“ პარალელურად ვაჭრობენ — „კარფური“ და ა.შ. ეს უკვე, შედარებით, პატარა კომპანიებია. ამ სიაშია სატელეფონო კომპანიებიც. ბევრი ანალიზი და ეკონომისტობა არ სჭირდება იმას, რომ „ენერგო პრო ჯორჯიაში“ ჩვენი გადახდილი ფული მიდის. რა თქმა უნდა, თანხის ნაწილი აქ დარჩა, ხალხი მუშაობს, მაგრამ დიდი წილი მათთან წავიდა. საბანკო სექტორი, საერთოდ, ცალკე თემაა. მგონია, რომ ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ეკონომიკაში მემკვიდრეობით მივიღეთ, ეს გახლავთ ის, რომ სახელმწიფოს არავითარი საფინანსო რესურსი არ გააჩნია. არცერთ განვითარებულ ქვეყანაში მსგავსი არაფერი მომხდარა. დღესაც კი, ისეთ განვითარებულ ქვეყნებში როგორებიცაა გერმანია, საფრანგეთი, აღარაფერს ვამბობ სკანდინავიის ქვეყნებზე, ან პირდაპირ სახელმწიფო ბანკები არსებობენ, ან სახელმწიფო ახდენს ფინანსური სისტემების რეგულაციებს და ფინანსებს პრიორიტეტების შესაბამისად განათავსებს. ჩვენთან, ასე არ ხდება. აქაური ბანკების დიდი წილი — ეს არის უცხოური კაპიტალი, ანუ, ჩვენგან შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გადის. თანაც, რაში იხარჯება ეს ფული? — სამომხმარებლო კრედიტებში. კი ბატონო, რეგულაციები კარგია, რადგან ადამიანი კაბალურ პირობებში აღარ აღმოჩნდება, მაგრამ მეორე მხრივ, ამ კრედიტების დიდი წილი ადამიანებმა აიღეს, რათა ეყიდათ ტელეფონები, წამალი და ა.შ. სხვათა შორის, ვისაც კი უცხოეთში წამალი უყიდია, ყველამ იცის, რომ ათჯერ უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში.





**— სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის კრედიტები გამოიყო. თუმცა, ფერმერამდე, ეს თანხა ჯერ კომერციულ ბანკებს მისცეს. მეტიც, სახელმწიფო დაწესებულებიდან, კერძოდ, იუსტიციიდან „თი-ბი-სი ბანკში“ უზარმაზარი თანხა შედის. ეს რას ნიშნავს?**

— ავიღოთ, პოსტ კომუნისტური ქვეყნები. იქ, ბანკების აქციონირება სრულად არ მოხდა. უცხოური კაპიტალი, პრაქტიკულად, არ იყო, არამედ ათწლეულების განმავლობაში, ძირითადად, ამას სახელმწიფო განკარგავდა ან რეგულაციას ეწეოდა. ასეთი ქვეყანაა სლოვენია. ჩვენი მსგავსი მოდელი აქვს ბულგარეთს. საშუალო ხელფასი სლოვენიაში ხუთჯერ მეტია, ვიდრე ბულგარეთში. ჩვენთან, რადიკალური ნეოლიბერალური რეფორმები გატარდა, წესრიგი დამყარდა. „ნაც.მოძრაობამ“ ეს კანონებით ჩააბეტონა, რაც სამწუხაროდ, ინერციით გრძელდება. რევოლუციური ცვლილებები უნდა განხორციელდეს. წარმოიდგინეთ, მსხვილი კომპანიები, რაც ზემოთ ვახსენე, ბანკებზე მეტ მოგებას ნახულობენ.

**— კაბალური, ანტისახელმწიფოებრივი კანონების მეშვეობით ბანკებმა დიდი ფული იშოვეს. ბუნებრივია, მათ ასე ადვილად ვერ დაუპირისპირდებით, ეს ხომ სახიფათოა?**

— გარკვეული ნაბიჯები თავად უნდა გადავდგათ. არ ვამბობ: ვინმეს რამე წავართვათ-მეთქი, არამედ თავად შევქმნათ. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ჯაჭვი უნდა აიგოს. უნდა დავინახოთ, რომ გარკვეულმა პროდუქციამ ადამიანს შედეგი მოუტანა. როგორ ავაგოთ ჯაჭვი? — თუ ექსპორტი არ გვექნება, ჯაჭვი ვერ იმუშავებს. საქართველოში, მგონი, სულ ორი კომპანიაა, რომელიც საწებელს აწარმოებს და ეს გვყოფნის. ანუ, თუ კარგად, ინტენსიურად გააკეთებ, გეყოფა. ამიტომ, ექსპორტი აუცილებელია. ყველა განვითარებული ქვეყანა, პირდაპირ, ექსპორტზე მუშაობს, სხვაგვარად, წარმოუდგენელია. მით უმეტეს, ეს ეხება პატარა ქვეყანას. ვახსენეთ, რომ თბილისში მილიონ ნახევარი ადამიანი ცხოვრობს, ხომ. იცით, რა არის ჩინეთის ეკონომიკის მთავარი პრობლემა? — ამერიკა მას ექსპორტის შეზღუდვებს უწესებს. ჩინეთში მილიარდნახევრი მოსახლეა. ქვეყანა იმდენად განვითარდა, შიდა ბაზარი აღარ ყოფნის. მან, პროდუქცია თუ არ გაყიდა, საწარმოები კრიზისში აღმოჩნდება და გაჩერდება. ჩვენ არ ვაწარმოებთ ბევრს იმიტომ, რომ არ ვიცით სად გავყიდოთ. მაგალითად, ამბროლაურში და ყაზბეგში კარგი თაფლი მოჰყავთ, მაგრამ გლეხი ნახევარ ლიტრიანი ქილებით როგორ წაიღებს სადღაც და გაყიდის?! ამას სჭირდება ტრანსპორტირება, ლოჯისტიკა, გადამუშავება, საჭირო რაოდენობის მოგროვება, ლაბორატორია, რომელიც სტანდარტს გააკეთებს. ანუ ეს არის გადამამუშავებელი მრეწველობა, რასაც სათანადო ცოდნა და პროფესიული განათლება სჭირდება. ფაქტობრივად, ვეტ.ექიმი, აგრონომი აღარ გვყავს, მეცნიერული კვლევები არ ტარდება. ამ ყველაფერს ორგანიზება სჭირდება, რაც სახელმწიფომ უნდა გააკეთოს. ეს როდი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ გინდა თუ არა საბჭოთა მეურნეობები შექმნას, არამედ მან, სადაც შესაძლებელია, სხვადასხვა ეკონომიკური სუბიექტები ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს. თუ ჯაჭვი გაწყდა, არაფერი გამოვა. ასე მოხდა სხვა ქვეყნებში — სახელმწიფომ ამ პროცესს ხელი შეუწყო — გამოყო გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი კრედიტები. სოფლის მეურნეობაზე როგორც პირველ ნაბიჯზე ისე ვლაპარაკობ, მაგრამ თუ ამას ინდუსტრია არ მოჰყვა, ვერ განვითარდება. სუბსიდია საკუთარ თავს ამართლებს ანუ, იმ ოდენობის დანახარჯი არ არის, რამდენადაც შედეგი. ეს ქვეყნის შეგრძნებას უკავშირდება. დღეს, რა არის ჩვენი ამოცანა? — ვამბობთ, რომ ჩვენი ადგილი ევროპაშია. აბა, გადავხედოთ ევროპას. ევროკავშირის ბიუჯეტი 250 მილიარდია, რომელთაგან დიდი წილი



რეგიონების განვითარებაში მიდის. იქ, რეგიონებში ნამდვილი ინდუსტრიული ზონებია. ხალხი მუშაობს. ავიღოთ, სწრაფად განვითარებადი ქვეყნები — კორეა, იაპონია და ტაილანდი. სახელმწიფომ შექმნა კოოპერატივები, მოახდინა მიწის ნაციონალიზება. კოოპერატივები, დიდწილად, სახელმწიფომ გააკეთა, რომლებსაც დირექტორები დაუნიშნეს. ოთხი წლის მერე მათ უთხრეს: ეს კოოპერატივები თქვენია და ვინც გინდათ დირექტორად ის დანიშნეთო. დირექტორი არავინ შეცვალა. ჩინური მოდელი კიდევ უფრო რთულია. იგი, აბსოლუტურად, განსხვავებულია, განსაკუთრებით, პოლიტიკური ნაწილი.

**— ჩინურ მოდელში ეკონომიკაში სახელმწიფომ თავისი ფუნქციები შეინარჩუნა, ასევე, კერძო ბიზნესს განვითარების საშუალება მისცა, კონკურენციამ კი წინსვლა გამოიწვია.**

— შეიძლება საკუთრების ფორმა განსხვავებული იყოს. თუმცა, ძალიან ბევრ ქვეყანაში, მაგალითისთვის, „ბოშის“ კომპანიაში 50% სახელმწიფოსია. „ფოლცვაგენის“ კომპანიის უდიდესი წილი, 80-იანი წლების დასაწყისამდე, სახელმწიფოსი იყო. დღევანდელი ეკონომიკა ძალიან რთულია. რაზეც ახლა ვსაუბრობთ ანუ, მიდგომებზე, ამას ძალიან მაღალი კომპეტენციის ადამიანები სჭირდება, რომლებიც აარჩევენ თუ რა უნდა იყოს პრიორიტეტი. ცვლილებები რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებშიც ხდება, რომლებიც დღეს წარმმართველები არიან. საუბრის დასაწყისში გითხარით: მთავარია რეგიონების განვითარება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და ტექნოლოგიისა და მეცნიერების განვითარება. აი, ამ სამ რამეში იხარჯება ფული, რომელიც სახელმწიფოს ფულია, ანუ, მთლიანად ევროკავშირის და არა ერთი სახელმწიფოსი. მაგალითად, გერმანიის განვითარების ინსტიტუტის მთავარი რეკომენდაცია იყო დაფუძნებულიყო განვითარების ბანკი, რომელიც პრიორიტეტების მიხედვით გრძელვადიან დაკრედიტებას მოახდენდა. ანუ, ეს უნდა გაკეთდეს სოფლის მეურნეობაში. ამის პარალელურად, უნდა მოხდეს ინდუსტრიის განვითარება სახელმწიფოს მხარდაჭერით და აქტიური ორგანიზაციული როლით. თანაც, ჩვენ, მუდმივად ინვესტიციებზე ვლაპარაკობთ. ინვესტირება ძალიან მიზანმიმართული, მაღალი დონის, მაღალტექნოლოგიური კომპანიებისგან უნდა მომდინარეობდეს. აქ, ისეთი რამ უნდა გაკეთდეს, რაც შემდეგ გაიყიდება, თანაც, ხალხიც ისწავლის. ჩვენ ცარიელი ადგილიდან ყველაფერს ვერ დავიწყებთ. ავიღოთ, კორეის მაგალითი: იქ, 70–80% დასაქმებული იყო აგრარულ მეურნეობაში, ხალხი ბევრად უფრო გაჭირვებული იყო, ვიდრე დღეს საქართველოშია. იქ, ძალიან მიზანმიმართულად დაიწყო მანქანათმშენებლობის მხარდაჭერა — პირველ წელს — მეტალურგია, მეორე წელს — ქიმიური მრეწველობა, პარალელურად, სოფლის მეურნეობა და შემდეგ, ავტომობილების წარმოება. „ჰიუნდაი“ აშშ-ს საავტომობილო ბაზარზე, წარმოების დაწყებიდან, 12 წლის შემდეგ შევიდა. აშშ ავტომობილების სამშობლო გახლავთ, სადაც მთავარი გადაადგილების საშუალება ავტოტრანსპორტია.

ამ მიმართულებით რადიკალური ცვლილებებია განსახორციელებელი. ანუ, ზემოთ რაზეც ვისაუბრე, ჩვენ პატრიოტები ვართ, გვჯერა ჩვენი ქვეყნის, გვაქვს განვითარების ხედვა, რაც ჩვენს რესურსებს ეფუძნება. ჩვენ, უნდა დავიწყოთ სოფლის მეურნეობის განვითარებით, პარალელურად, განვავითაროთ ინდუსტრიული ტექნოლოგიები, მათ შორის, მოვიზიდოთ მაღალგანვითარებული კომპანიები. სახელმწიფო ამ ყველაფერში ორგანიზაციულ როლს ასრულებს. ჩვენ, ვუზრუნველყოფთ განათლების სისტემის ისეთ ცვლილებას, რომელიც ამ ტიპის ეკონომიკას სჭირდება. იმის ლაპარაკი რომ განათლება კარგია, არაფერს ნიშნავს. ჩვენთან განათლების რეფორმები უშედეგოა. ყოველი მომდევნო მინისტრი ახალ რეფორმას იწყებს. საქართველომ ძალიან ბევრი განათლების მინისტრი გამოიცვალა. რატომ ვერ ვაღწევთ წარმატებას? — იმიტომ, რომ ეს არ არის დაკავშირებული ეკონომიკასთან. ჩვენი უნივერსიტეტები რეგიონული და ქვეყნის განვითარების ცენტრებად უნდა იქცნენ. უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი რამ უნდა ისწავლებოდეს, რაც ჩვენს ეკონომიკას და განვითარებას სჭირდება. მსგავსი რეგიონული განვითარების ცენტრები ყველა განვითარებულ ქვეყანაშია. საბჭოთა კავშირის დროს სოხუმში სუბტროპიკული ინსტიტუტი იყო. ეს ყველაფერი ერთმანეთთან ქსელურად უნდა იყოს დაკავშირებული. ამას ყველა აკეთებს. პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ჩვენ დღეს გვჭირდება, ეს არის ისეთი ეკონომიკის განვითარება, სადაც ადამიანებიც იქნებიან ჩართულნი. მხოლოდ ეს უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ჩამოყალიბებას ისეთად, რომელსაც მართლა შეუძლია იყოს განვითარებული. დიახ, პატრიოტები ვართ, მაგრამ მხოლოდ უკან ნუ გავიხედავთ, წინაც ვიყუროთ. განა, შეიძლება მანქანაში იჯდე, სარკეში იყურებოდე, რომელიც წინ აყენია



და უკან რა ხდება მარტო ის ჩანდეს. წინაც ხომ უნდა გაიხედო. წინ არ ვიყურებით. ასე კი წინსვლა ვერ გვექნება. ჩვენ, მიგვაჩნია, რომ წინ ყველაფერი დალაგებულია და თავისით მოგვარდება. ასე არ იქნება. აი, ეს არის დღეს ჩვენი მთავარი ამოცანები, რაც რადიკალურ, რევოლუციურ ცვლილებებს მოითხოვს. ეს სტერეოტიპები უნდა დაინგრეს. უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო არის წარმმართველი. ცხადია, მან ადამიანის უფლებები უნდა დაიცვას. თუ ქვეყანა გვიყვარს უნდა ვიცოდეთ, რომ იგი კარგია ანუ, შეგვიძლია კარგი გავხადოთ. ორი ფეხი აქვს ნორვეგიელსაც, ჩინელსაც, შვედსაც, ჩვენ რით ვართ ნაკლები? ისტორია გვაქვს ნაკლები თუ ნიჭი? — სამწუხაროდ, მონდომება არ გვაქვს. ამბობენ: ხალხს მუშაობა აღარ უნდაო. ეს ტყუილია. ხალხს უნდა მუშაობა, ოღონდ, სამუშაო პირობებია შესაქმნელი.

**— რადგან ეს საკითხი ახსენეთ, გკითხავთ: პრობლემა ის ხომ არ არის, რომ ორიენტირი სიღატაკის დაძლევაზე ან ეკონომიკის გაძლიერებაზე კი არ არის, არამედ სიღატაკის მართვაზე?**

— აბსოლუტურად, გეთანხმებით. სიღატაკის დაძლევის პროგრამა ეფექტურად რომ მუშაობდეს, ბევრი რამის გათვალისწინებაა საჭირო. მსგავსი პროგრამა რამდენიმე ათწლეულია რაც აფრიკის ქვეყნებში დანერგილია. რა თქმა უნდა, აღნიშნული გარკვეულ როლს ასრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ, ადამიანები დაიხოცებოდნენ. თუმცა, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: ადამიანები გადარჩნენ, მაგრამ ეს ქვეყნები არ განვითარდნენ. მათ, მუდმივად, გადარჩენისთვის უწევთ ბრძოლა. არ მინდა ჩვენს ქვეყანასაც ასეთი მომავალი ჰქონდეს. რით ვართ სხვაზე ნაკლები? საქართველოს ნათელი მომავალი და განვითარების პერსპექტივა უნდა ჰქონდეს. ჩვენ უნდა გადავხედოთ, ისე როგორც სინგაპური მოიქცა — მესამედან პირველში. დიახ, სინგაპური მესამე სამყაროდან პირდაპირ პირველში გადავიდა. წინა მთავრობის დროს, მუდმივად, სინგაპურიზაციაზე იყო ლაპარაკი. თუ სმენია ვინმეს: სინგაპურში როგორი თანაფარდობითაა მიწის საკუთრება? იქ, 90% სახელმწიფო მიწაა. სინგაპური საკმაოდ პატარაა. ის მიწა სასოფლო-სამეურნეო არ არის, თანაც, ძალიან ძვირია. სინგაპურში დაბალი გადასახადებია, მაგრამ სახელმწიფო კომპანიებია ბევრი და სახელმწიფო შემოსავლები აქედან არის მაღალი. მოგეხსენებათ, სოციალური უთანასწორობა ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი უბედურებაა, რაც ადამიანებს პერსპექტივას უკლავს და საკუთარი თავის რეალიზების საშუალებას არ აძლევს. პოსტ.საბჭოთა, მათ შორის, ევროპის ქვეყნებიდან უთანასწორობა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია. ეს რას ნიშნავს? — ეკონომიკის უმთავრესი რესურსები ძალიან ვიწრო ჯგუფის ხელშია თავმოყრილი, რაც ზოგადად, ეკონომიკასაც აზარალებს და ადამიანებსაც. მთელს მსოფლიოში ეს პრობლემა პირველია.





ავიღოთ დავოსი, რომელიც მსხვილი კაპიტალისტების შეხვედრის ადგილია. იქაც კი, პირველ ადგილზე, უთანასწორობის პრობლემა დგას. რატომ? — იმიტომ, რომ ეს ეკონომიკას ურტყამს. ადამიანების დიდ ნაწილს არ აქვს შესაძლებლობა ფული მოხმარებაში დახარჯოს. მაგალითად, ჩვენ, არ შეგვიძლია მანქანების ყიდვა. ძნელია, როცა ადამიანს არ შეუძლია თავისი ცხოვრება ღირსეულად წარმართოს. კარგია, რომ კულტურული ქვეყანა ვართ. ნიკო ნიკოლაძე თავის პუბლიცისტიკაში წარმოებას და ვაჭრობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. კორეაში, იაპონიაში პირდაპირ მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროები არსებობს. ჩვენთან, ვაჭრობის ფუნქციის მიმართულებაზე, ეკონომიკის სამინისტროში რამდენიმე ადამიანი მუშაობს, რაც ცოტაა. ისინი პრიორიტეტს ვერ შეარჩევენ. ამას კვლევები და მაღალკვალიფიციური ხალხი სჭირდება. ერთ-ერთი გზა, როცა ევროპულობაზე ვლაპარაკობთ, ყველა განვითარებულ ქვეყანაში არის ე.წ. პროგრესული დაბეგვრის რეჟიმი, რაც ნიშნავს, რომ მაღალი შემოსავლები უფრო მაღალი პროცენტით იბეგრება. რატომ? — იმიტომ, რომ შემოსავლები გათანასწორდეს. ირიბ გადასახადს, მაგალითად, აქციზს და ა.შ., ყველანი ერთნაირად მოვიხმართ — სიგარეტს მეც ვეწევი და ბანკის პრეზიდენტიც, რომელსაც წელიწადში შემოსავალი 4 მილიონი დოლარი აქვს. ანუ, ორივე ერთნაირ ფულს ვხარჯავთ, აქციზის გადასახადს ერთნაირად ვიხდით. ამ დროს კი, ჩემს შემოსავლებში ბევრად მეტი პროცენტული წილია, ვიდრე ბანკის პრეზიდენტისაში. ჩემთვის, გადახდილი პროცენტი ძალიან მაღალია, ბანკირი კი ამას, ალბათ, ვერც გრძნობს, იმდენად მცირეა მისთვის ეს თანხა. ამიტომ, ყველგან, მთელს მსოფლიოში საშემოსავლო და ქონების გადასახადი პროგრესულია. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი ძალიან ბევრს ხარჯავს სურსათში. მას, სხვა ფული არ აქვს, რაც მის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს — წიგნის ყიდვა უნდა, თეატრში წასვლა და ა.შ., რასაც ვერ ახერხებს. ამიტომ, შემოსავალი და ქონება განსხვავებულად უნდა იბეგრებოდეს. ჩვენი მოსახლეობიდან, დაახლოებით, 900 ათასი ადამიანი არის დასაქმებული. აქედან, 300 ათასის ხელფასი 500 ლარზე ნაკლებია, ხოლო 70%-ის ხელფასი 1500 ლარზე ნაკლებია. 91%-ის თვიური ანაზღაურება 2500 ლარზე ნაკლებია. ეს ძალიან დაბალი შემოსავლებია. ჩვენ, გვქონდა გათვლები, როგორ წასულიყო დაზოგილი თანხა ქვეყნის განვითარებაში — სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, წარმოებაში და ა.შ. სიამაყით ვაცხადებ, რომ გერმანიამ ჩვენი პროფესიული განათლებისთვის 23 მილიონი ევრო გამოყო. რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ ძალიან ცოტაა. აქ, ათეულობით პროფესიული განათლების დაწესებულებები უნდა იყოს. უნივერსიტეტები განვითარების ცენტრებად უნდა იქცეს, განსაკუთრებით, რეგიონებში. ხალხს ეს ბევრად უკეთ ესმის, ვიდრე პოლიტიკოსებს. უცხოეთში იმ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა 87%, რომლებიც რეგიონში ცხოვრობენ, იქვე საქმდებიან. შედარებისთვის გეტყვით: ჩვენი მეცნიერების ხარჯები 65 მილიონი ლარია, ხოლო ფინეთში, სადაც 4,5 მილიონი მოსახლეა — 7 მილიარდი ევრო იხარჯება. სახელმწიფო მხოლოდ 40%-ს ხარჯავს, დანარჩენს კი — ეკონომიკური სუბიექტები ანუ, „სააბი“ და „ერიქსონი“. მაგალითად, „ფოლცვაგენი“ ყოველწლიურად სამეცნიერო კვლევებში 11 მილიარდ ევროს ხარჯავს. ასე რომ არ მოიქცეს, ველარ იფუნქციონირებს. დღეს, ჩვენ, რა ხარჯები გვაქვს? — მეცენატური, რაც ვერ იქნება ეფექტური თუ სახელმწიფო პოლიტიკა არ შემუშავდა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

(გაგრძელება იქნება)

# დემონის გამოძახება ანუ შეიძლება რობოტებმა ადამიანები დედამიწიდან განდევნონ?

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" N22)

აშშ-ს ამ საქმეში არც ჩინეთი ჩამორჩება, სადაც ასევე შეისწავლება რობოტების ქალაქში ბრძოლის შესაძლებლობა. როგორც აღინიშნება, კონკურენცია უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებაში ძალზე გამწვავებულია აშშ-ს, რუსეთს, ჩინეთს, ისრაელს, ბრიტანეთს, იაპონიას, თურქეთსა და ირანს შორის. აშშ-სა და ჩინეთს შორის მეტად გამწვავებული კონკურენციის დასტურია პრეზიდენტ ტრამპის 2018 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი დოკუმენტი „აშშ ს პოლიტიკა უპილოტო საჰაერო სისტემების ექსპორტზე", რამაც ხელი უნდა შეუწყოს ამერიკული მაღალტექნოლოგიური შეიარაღების ექსპორტს მთელ მსოფლიოში. ჩინეთი საკუთარი წარმოების უპილოტო საფრენ აპარატებს გაცილებით იაფად ჰყიდის მსოფლიო ბაზარზე. ირანსა და პაკისტანს ჩინეთი მიჰყიდის დრონებს, რაც არაერთხელ აღნიშნულა. ჩინეთი ყოველთვის მონაწილეობს მაღალტექნოლოგიური იარაღის საერთაშორისო გამოფენებში და თავისი პროდუქციით ყურადღებას იქცევს. კოსმოსური დრონები **XS-1 Spaceplane, Boeing X-37B** ორბიტალური ტესტი მანქანა, დრონი **X-43A** ჰიპერონერი ექსპერიმენტული ავტომობილი **XS-1 Spaceplane, Boeing X-37B Orbital Test Vehicle**, ჰიპერბგერითი დრონი მოახდენენ მილიტარიზმის ესკალაციას კოსმოსში. ეს სუპერდრონები ბალისტიკური რაკეტების გამანადგურებლებად გვევლინება. 2018 წლის აპრილში გავრცელებული ინფორმაციით, ინდოეთი უახლოეს ხუთ — შვიდ წელში შექმნის ჰიპერბგერით იარაღს. სუპერდრონების გამოჩენა დიდი ქვეყნების არსენალში არღვევს სტრატეგიულ პარიტეტს სახელმწიფოთა შორის. ფაქტობრივად, გაცოცხლდა 1983 წელს გაცხადებული, რონალდ რეიგანის დროის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა, რაც კოსმოსის მილიტარიზებას გულისხმობს. მაშინ ასეთი საომარი კონცეფცია არსებობდა, მაგრამ აშშ-ს სამხედრო სამრეწველო კომპლექსს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ეწარმოებინა ამ კონცეფციის ხორცშესხმისათვის აუცილებელი იარაღი. ზემოთ ჩამოთვლილი მძლავრი დრონები ზრდის ატომური ომის დაწყების შესაძლებლობას სულ მცირე მიზეზის გამოც კი. ჰიპერბგერითი საფრენი აპარატები სადღეისოდ მხოლოდ აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს გააჩნიათ. ჯერ კიდევ ნაცისტურ გერმანიაში მუშაობდნენ ამ სახის იარაღზე. ბოლო დროს ჩინეთმა შექმნა და გამოსცადა **Starry Sky-2** და **DF-ZF**. 2015 წლის თებერვალში გავრცელებულმა ინფორმაციამ რუსული გლაიდერის **Ю-71**-ის („ობიექტი 4202") გამოცდაზე სამხედრო ექსპერტების ყურადღება მიიპყრო. გამოცდის შედეგები გასაიდუმლოებულია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2020–25 წლებისათვის რუსეთი შექმნის ახალ მძიმე ტრანსკონტინენტურ ბალისტიკურ რაკეტას „სარმატს", რომელსაც შეეძლება **Ю-71**-ის ზიდვა. თუ სისწრაფესთან ერთად ჰიპერბგერით მოწყობილობებს ექნებათ სწრაფი მანევრირების უნარი, ეს მათ მომავალი ომის გადამწყვეტ იარაღად აქცევს. ამ სახის აპარატები ზემტკიცე კომპოზიტებისაგან უნდა შეიქმნას, რადგან ჰიპერბგერითი სისწრაფის დროს მანევრირება კონსტრუქციას ძალზე დიდ დატვირთვას აძლევს. მიმდინარეობს მუშაობა თერმომდგრად მასალებზე, რადგან, როგორც ცნობილია, ასეთი აპარატის ფრენის დროს ტემპერატურა აღწევს ორი ათას გრადუსს. თუ ამ სახის იარაღი გავრცელდება ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, ეს კიდევ უფრო მეტ ესკალაციას გამოიწვევს მსოფლიო პოლიტიკაში. ამ სახის იარაღის გავრცელების შესაძლებლობა კი ბევრად მეტია, ვიდრე ატომური იარაღისა. დამრტყმელი დრონების მწარმოებელ კერძო კომპანიას შეუძლია მიჰყიდოს ეს დრონები ყველას, ვინც ფულს გადაიხდის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ატომური იარაღის შექმნას სხვადასხვა ქვეყნებმა დიდი დრო მოანდომეს. ჰიპერბგერითი იარაღის შემთხვევაში კი შექმნისა და გავრცელების დროითი ჰორიზონტი გაცილებით ნაკლები იქნება. მრავალი საბაზისო ტექნოლოგია ხელმისაწვდომია და საშუალო კომპეტენციის მქონე კონსტრუქტორსაც კი შეუძლია შექმნას რაღაც ხელშესახები დრონების ინდუსტრიაში. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო დრონები (კვადრო- და მულტიკოპტერები), რაც უკვე საკმაოდაა გაყიდვის ქსელებში, ტერორისტების მიერ შეიძლება გადაკეთდეს საბრძოლო მოწყობილობად და გამოყენებულ იქნეს ტერაქტისათვის. მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ ჰქონდეთ და აწარმოონ საომარი რობოტები და ბოლო თაობის კიბერიარაღი. ესაა საპასუხო კიბერდარტყმის ავტომატიზებული სისტემა. მის სრულყოფაზე აშშ-ს გარდა მუშაობენ ჩინეთი, რუსეთი, ისრაელი, ბრიტანეთი.





ჩნდება ცდუნება, რომ პოლიტიკოსები რობოტებს ბოროტი განზრახვით გამოიყენებენ. საომარი რობოტოტექნიკური კომპლექსები ფრონტად აქცევენ ყველაფერს — სამეურნეო და სამრეწველო ინფრასტრუქტურას, ინტერნეტსივრცეს, კოსმოსს. ცნობილია, რომ სამხედრო რობოტების შექმნაზე მუშაობს ორმოცამდე ქვეყანა. საერთაშორისო კონტროლსა და ტრანსპარენტულობაზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. კვლევები და კვლევის შედეგები საგანგებოდ გასაიდუმლოებულია. ოთხ ათეულამდე ქვეყანა ცდილობს აბსოლუტური იარაღის შექმნას. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როდესაც ატომური იარაღი იქმნებოდა, მაშინ სახელწიფო სტრუქტურები ბირთვული კვლევის მონოპოლისტად გამოდიოდნენ. ახლა კი ავტონომიური ლეტალური სისტემებისა და სამხედრო პლატფორმების შესაქმნელად მუშაობს მრავალი ათეული კერძო კომპანია მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ეს ზრდის დაძაბულობასა და უნდობლობას არა მხოლოდ საერთაშორისო ბიზნესში, არამედ დიდ პოლიტიკაშიც. ავტონომიური ლეტალური სისტემები უფრო არყევენ ისედაც შერყეულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. პენტაგონის არაბირთვული ელვისებრი გლობალური დარტყმის კონცეფცია სხვა ქვეყნებს აიძულებს, რომ შექმნან თავდაცვისა და თავდასხმის ახალი სისტემები. დგება ცივილიზაციური ცაიტნოტის ვითარება, როდესაც ადამიანს დრო აღარ რჩება გაიაზროს რობოტული პროგრესით გამოწვეული საფრთხეები. უკვე სადღეისოდ არსებული განვითარების დონე ბევრად წინ უსწრებს შესაბამის იურიდიულ რეგულაციებს. პენტაგონი სულ უფრო მეტად ინტერესდება საომარი რობოტების საკითხით. ბრუკინგსის ინსტიტუტის სამხედრო ექსპერტის, მომავლის ომების თეორეტიკოსისა და ფუტუროლოგის, პენტაგონის კონსულტანტის, პიტერ უორენ სინგერის ნაშრომები, გავრცელებული ცნობის თანახმად, აშშ-ს არმიამ, ავიაციამ და ფლოტმა სამხედრო მოსამსახურეთათვის აუცილებლად წასაკითხი წიგნების სიაში შეიტანა. სინგერის გარდა რობოტების საკითხებზე წერენ სტიუარტ რასელი, მარტინ ფორდი, პოლ სქერი, თომას ჰელსტრიომი, ოგასტ კოული, კალუმ ჩასი, ჯეიმს ბარათი და სხვები…2018 წლის აპრილში **Google-s** 3 100-მა თანამშრომელმა ღია წერილით მიმართა კორპორაციის ადმინისტრაციას იმ მოთხოვნით, რომ **Google**-მა შეწყვიტოს პენტაგონთან თანამშრომლობა **Maven**-ის ფარგლებში), **Diamond Shield** და **COMPASS** მოწოდებულია საომარი მონაცემების სწრაფი ანალიზისა და სამხედრო ხელოვნური ინტელექტის-პლატფორმისათვის სარდლობის გადასაცემად. პენტაგონის ეს პროგრამები ნეირონულ ქსელში ინფორმაციის მასივის სწრაფი ანალიზის შემდეგ მითითებებს მიაწვდის ყველა რგოლის ოფიცრებს. ამას ეწოდება საბრძოლო მოქმედებათა ალგორითმული წარმართვა. ნეირონულ ქსელებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ აღწერონ თავისი მოქმედების პრინციპი ადამიანისათვის გასაგები ენით. ცხადია, პენტაგონის ასეთი პროგრამები იწვევს მილიტარიზმის ესკალაციას, დიდ ბიძგებს აძლევს გამალებულ შეიარაღებას, ზრდის მტრობას ქვეყნებს შორის. თავისუფალი ვაჭრობის, ბიზნესის აპოლიტიკურობისა და მეწარმეობის თავისუფლების აქსიომები საზრისდაკარგული ხდება. პოსტულირებულია გამუდმებული თვალთვალი, ტექნოლოგიური შპიონაჟი, კონკურენციის გადაზრდა საომარ მოქმედებებში. პროგრამა **COMPASS** შეუძლია აქტიური სიტუაციური სცენარების შეგროვება და მონიტორინგი დაგეგმვის მეშვეობით. ეს პროგრამა ახდენს სიტუაციის ანალიზს „ნაცრისფერ ზონაში", რაც ნიშნავს მცირედ შესამჩნევ ზღვარს კონკურენციასა და ომს შორის. 2015 წელს გაეროში განიხილებოდა საომარი რობოტების აკრძალვის საკითხი. ექსპერტების აზრით, ეს განხილვა წლობით გაგრძელდება, რადგან ავტონომიური ლეტალური სისტემების მოწინააღმდეგეებს ჯერ არ აქვთ დამაჯერებელი კონტრარგუმენტაცია ამ რობოტების მომხრეებთან პოლემიკაში. განხილვა წლობით გაჭიანურდება მანამ, სანამ საომარი რობოტები დიდ კატასტროფას არ გამოიწვევენ. ხელოვნური ინტელექტის კვლევაში დიდმა ქვეყნებმა ჩადეს მრავალმილიარდიანი ინვესტიციები. ფაქტობრივად, ეს არის გამალებული შეიარაღების ახალი ტალღა. ქვეყნები ცდილობენ ხელთ ჩაიგდონ სუპერიარაღი, ამიტომ ისინი არ შეიზღუდავენ თავს გაეროს მიერ ინიცირებული წინმსწრები აკრძალვითა და პრევენციული რეგულაციებით. გავიხსენოთ, რომ მხოლოდ ატომური იარაღის გამოყენების შემდეგ (ჰიროსიმა და ნაგასაკი) გახდა შესაძლებელი მის გაუვრცელებლობაზე სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიღწევა. 1940-იან წლებში მიმდინარეობდა ატომის ბირთვის გამალებული კვლევა რამდენიმე ქვეყანაში. იმ დროს ცნობილი ფიზიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ ატომური ბომბი არ შეიქმნებოდა და ბომბის შესაძლო შექმნის გამო გამოთქმული შეშფოთება უსაფუძვლო იყო. ატომის კვლევამ კი სწორედ ბირთვული იარაღი შექმნა. ამ იარაღის შექმნამ დაადასტურა ბირთვული კვლევების წარმატება და წინსვლა და არა ატომური ელსადგურის აშენებამ. მხოლოდ 1954 წელს შეიქმნა მსოფლიოში პირველი აეს-ი (რუსეთი). ჰიროსიმის დაბომბვიდან უკვე ათი წელი იყო გასული, როდესაც შესაძლებელი გახდა „მშვიდობიანი ატომის" პროექტის განხორციელება. სადღეისოდ მრავალი ექსპერტი ირწმუნება, რომ ავტომატიზაცია და ხელოვნური ინტელექტის წინსვლა არაა საფრთხის შემცველი. კვლევები კი სწორედ ლეტალური ავტონომიური სისტემების შექმნას ასტიმულირებს. რაციონალურად ძნელი ასახსნელია, თუ როგორ არის, რომ სამოქალაქო კვლევა მაინც სამხედრო კვლევად იქცევა. 2013 წელს დაფუძნდა მოძრაობა „შევაჩეროთ მკვლელი რობოტები". არსებობს სხვა ცნობილი ორგანიზაციაც რომელიც რობოტული იარაღის რეგულაციების მოთხოვნით გამოდის. საკითხის სერიოზულობასა და დიდ საფრთხეზე მეტყველებს 2017 წლის 21 აგვისტოს გაეროში გაგზავნილი ოცდაექვსი ქვეყნის ასთექვსმეტი ექსპერტის წერილი ავტონომიური ლეტალური იარაღის აკრძალვის მოწოდებით. 2018 წლის აგვისტოში საერთაშორისო სამართალდამცველმა ორგანიზაციამ „საერთაშორისო ამნისტია"-მ ქვეყნებს მოუწოდა, რომ აიკრძალოს მკვლელი რობოტები. რობოტიზაციის საფრთხეებზე საუბრობენ ნობელიანტი ეკონომისტი ჯოზეფ სტიგლიცი, ცნობილი ნეო-ლადაიტი (ხელოვნური ინტელექტის გავრცელების მოწინააღმდეგე) ბრიტანელი ფუტუროლოგი ჯეიმს ბრიდლი, ბრიტანელი ფიზიკოსი ჯიმ ალ-ხალილი, ბრიტანელი ხელოვნური ინტელექტის-ექსპერტი მუსტაფა სულეიმანი, ბრიტანელი რობოტოტექნიკოსი ნოელ შარკი და სხვა. სამხედრო და საომარმა რობოტებმა კიდევ უფრო მეტი საფრთხე წარმოშვეს, ვიდრე ატომური ომის საფრთხე იყო იყო XX ს-ის მეორე ნახევარში.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# დონალდ ტრამპი: აშშ კვლავ დიადი ქვეყანა უნდა გახდეს!



„ყოველი წუთი ძვირფასია“, — ყველამ კარგად იცის ეს გამოთქმა და ზოგჯერ ვიყენებთ კიდეც. მართლაც ძვირფასმა ათმა წუთმა გადაწყვიტა გასულ პარასკევს ახლო აღმოსავლეთისა და, საერთოდაც, მსოფლიოს ბედი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა იმ დღეს გასცა ბრძანება, ირანზე სარაკეტო შეტევა განეხორციელებინათ. საუბარი იყო 3 ობიექტზე, რომლებიც მიზანში ამოიღეს აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა. საბედნიეროდ, ტრამპმა თავდასხმის ბრძანება შეტევის დაწყებამდე 10 ჭწუთით ადრე გააუქმა. მოგვიანებით პრეზიდენტმა განმარტება გააკეთა: „...ჩემთან მოვიდნენ სამხედროები და მომახსენეს, რომ მზად იყ-



ვნენ შეტევისთვის. დავინტერესდი მოსალოდნელი მსხვერპლის რაოდენობით. მათ მითხრეს, რომ მსხვერპლი 150 ადამიანი იქნებოდა (აქ ტრამპს არ დაუკონკრეტებია, რომელი მხარის მსხვერპლზე იყო საუბარი). ამიტომ გავაუქმე შეტევის ბრძანება“. მოგვიანებით თავის მართლება მოუწია, ბრძანება კი არ გავაუქმე, არამედ დროებით შევაჩერეო, — სავარაუდოდ, ირანი კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ მოსალოდნელია სამხედრო ოპერაციის დაწყება.

ვითარება სპარსთისა ყურეში ჯერ კიდევ ორი ტანკერის აფეთქების შემდეგ დაიძაბა. მომხდარში აშშ-მ უპირობოდ ირანი დაადანაშაულა. ამიტომ დაიწყო სამხედრო კონტინგენტის გაზრდა რეგიონში. სპარსეთის ყურეში აშშ-ს რამდენიმე სამხედრო ბაზა აქვს. მათ შორის, ყატარში და ბაჰრეინში. ერთ-ერთი დიდი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზა სწორედ ბაჰრეინშია განთავსებული. სამხედრო ექსაპერტების ვარაუდით, აშშ სწორედ ამ ქვეყნიდან განახორციელებს ირანზე ძირითად შეტევას.

საინტერესო გახლდათ გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს განცხადება: „საეჭვოა, ტანკერებზე შეტევა ირანელებს განეხორციელებინათო“. თუმცა, აშშ-ისა და სხვა ქვეყნების საზღვაო ფლოტის სამხედრო გემების გაზრდილი რაოდენობის რეგიონში ყოფნა ირანის შეკავების მიზეზით გაამართლა.

ირანზე დაანონსებული სარაკეტო შეტევის მიზეზი გასულ კვირას უპილოტო საფრენი აპარატი გახდა. ხუთშაბათს ირანელებმა თავიანთ საჰაერო სივრცეში აშშ-ის მზვერავი უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. სადაზვერვო ფუნქციების გარდა, საფრენი აპარატს შეტევის განხორციელებაც შეუძლია. დრონი საკმაოდ ძვირადღირებულია, რომლის ფასიც 130 მლნ დოლარია. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ პირველი დრონია, რომელიც აშშ-მ დაკარგა. თავდაპირველად აშშ-ის მხარე უარყოფდა რეგიონში მათი უპილოტო აპარატის ყოფნას. ირანელები პირველები აღმოჩნდნენ შემთხვევის ადგილზე და ტელევიზიით გაავრცელეს დრონის ნამსხვრევების კადრები. ამის შემდეგ აშშ ამტკიცებდა, რომ აპარატს ირანის საჰაერო სივრცე არ დაურღვევიაო. თუმცა სამხედრო ექსპერტებმა დაადგინეს, რომ, რადგან დრონი ირანის ტერიტორიულ წყლებში ჩავარდა, იგი ქვეყნის საჰაერო სივრცეში იმყოფებოდაო. ირანელების განცხადებით, საფრენი აპარატი საკუთარი წარმოების ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარით გაანადგურეს, რის გამოც სიამაყე ვერ დამალეს. დონალდ ტრამპმა თავისი ქვეყნის ავიაციას დროებით აუკრძალა ირანის კონტროლირებად ტერიტორიებზე ფრენები.

სამყარომ, სავარაუდოდ, ახალი მსოფლიო ომი აიცილა თავიდან. არავინ იცოდა, რითი დასრულდებოდა ირანზე განხორციელებული შეტევა. ექსპერტების უხეში გათვლებით, მილიონობით მსხვერპლი იქნებოდა. საბედნიეროდ, დონალდ ტრამპმა დროულად შეაჩერა შეტევის ბრძანება. „ჩვენ კიდევ მოვითმენთ“, — განაცხადა მან და ახალი მკაცრი სანქციებით დაემუქრა ირანს. საკუთარი გადაწყვეტილება დონალდ ტრამპმა ასე შეაფასა: „...ზოგჯერ ომის გამჩაღებლად მომიხსენიებენ, ზოგიერთი „მშვიდობის მტრედსაც“ მიწოდებს. მე არც ერთი ვარ და არც მეორე. უბრალოდ, საღად, რეალურად მოაზროვნე ადამიანი ვარ“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს.

საომარი რიტორიკა ერთია, მაგრამ დონალდ ტრამპი ირანთან მოლაპარაკებას არ გამორიცხავს. ამასთან, მკვახე გამონათქვამებიც შეარბილა: „...თუ ირანს ჩვენთან მეგობრობა სურს, ჩვენ დავეხმარებით, რათა კვლავ „დიადი ირანი“ გახდეს. ხომ კარგად ჟღერს „დიადი ირანი“? წინააღმდეგ შემთხვევაში, სანქციებს გავამკაცრებთ“, — განაცხადა ტრამპმა ჟურნალისტებთან. საინტერესოა, რომ არც ამერიკელ ექსპერტებს სჯერათ ირანელების მიერ ტანკერების აფეთქება. მათივე განცხადებით, დონალდ ტრამპს ომი არავისთან უნდა, მისი მიზანია, ზეწოლით მიაღწიოს სასურველ მიზანს. ასევე ამბობენ, მუქარების შემდეგ იმიჯისა შენარჩუნებას ცდილობს. ექსპერტების შეფასებით, აშშ-ის ადმინისტრაციამ საკუთარი ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, რადგან მაიკლ პომპეოს და ტრამპის თანაშემწეს უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონს მრავალსვლიანი პოლიტიკური კომბინაციების გათვლა არ შეუძლიათ. როგორც ამბობენ, ირანთან ომი თუნდაც იმ მიზეზით არ უნდა ტრამპს, რომ საამისოდ არც აშშ-ის მოსახლეობა და არც პოლიტელიტა მზად არ არიან და არც უნდათ. თუმცა გასულ კვირას ისრაელის პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პენტაგონში ამუშავებენ ირანის მასობრივი დაბომბვის გეგმას.

ფლორიდის შტატის ქალაქი ორლანდო დონალდ ტრამპის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. 2015 წლის საარჩევნო კამპანია მან სწორედ აქედან დაიწყო. გასულ კვირას ამავე ადგილზე ოფიციალურად განაცხადა, რომ მეორე ვადით აპირებს იყაროს კენჭი. დარბაზი, სადაც ტრამპი უნდა გამოსულიყო, 20 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს. ბილეთები უმალ გაიყიდა, ღონისძიებაზე ყველა მსურველი ვერ მოხვდა. ფლორიდაში ტრამპის მომხრეები სხვა შტატებიდანაც ჩავიდნენ. მხარდამჭერები, რომლებიც დარბაზში ვერ მოხვდნენ, ღონისძიებას მონიტორებზე ადევნებდნენ თვალს.

დონალდ ტრამპი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, მისმა მეუღლემ მელანიამ წარუდგინა საზოგადოებას, დონალდ ტრამპის გამოსვლა 1,5 საათი გრძელდებოდა. თუმცა, ლოზუნგები ძველი დარჩა, ფაქტობრივად, ახალი მას არაფერი უთქვამს და არც ახალი დაპირებები მიუცია ამომრჩევლისთვის. მისი თქმით, აშშ კვლავ „დიადი ქვეყანა“ უნდა გახდეს: „...აშშ-ის ალმავალ ეკონომიკას მსოფლიოში ყველა შურით უყურებს“, — განაცხადა მან. ტრამპმა საშინელი სურათი დახატა იმ შემთხვევაში, თუ სათავეში დემოკრატები მოვლენ.

საინტერესოა, რომ აშშ-ში გამოკითხვების მიხედვით ტრამპს დემოკრატების ყველა სავარაუდო კანდიდატი უსწრებს. პოლიტოლოგები ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ, რადგან ასე იყო წინა არჩევნების დროსაც, მაგრამ, საბოლოოდ, გამარჯვება ტრამპს დარჩა. მართალია, დემოკრატებს თავიანთი პრეზიდენტობის კანდიდატი ჯერ არ დაუსახელებიათ, მაგრამ ყველანაირად ცდილობენ, ტრამპს ბარიერები შეუქმნან. თუნდაც დემოკრატმა ბერნი სანდერსმა, რომელსაც სურს წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ პარტიას ჯერ არ გადაუწყვეტია, კონკრეტულად ვინ წარადგინოს, დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო გამოსვლას „საათნახევრიანი ტყუილები“ უწოდა. არც ტრამპის მოწინააღმდეგე რიგითი ამომრჩევლები დარჩნენ გულგრილნი და საპროტესტო აქციები გამართეს. თუმცა წინასაარჩევნო მარათონი ახლა იწყება და სამომავლოდ ბევრი საინტერესო ამბებია მოსალოდნელი.

ორი კვირის წინ გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ რუსეთის ენერგოსისტემაზე მოსალოდნელი კიბერშეტევის განხორციელების შესახებ იუწყებოდნენ. დონალდ ტრამპი წერილმა სასტიკად განარისხა, აღნიშნული უარყო, რედაქციას კი სახელმწიფო ღალატში დასდო ბრალი. გასულ კვირას კი აშშ-ის ადმინისტრაციაში განაცხადეს, აშშ ირანის შეკავების მიზნით ახორციელებს კიბერშეტევასო. მათი განმარტებით, ამით სურთ, ირანელებს სამხედრო პოტენციალი შეუზღუდონ. ცნობამ საგონებელში ჩააგდო აშშ-ის უსალოესი მოკავშირეები, განსაკუთრებით, ევროპის ქვეყნები.

და კიდევ ერთი საინტერესო მოვლენის შესახებ აღმოსავლეთ აზიაში. გასულ კვირას ჩინეთის მეთაური სი ძინპინი ჩრდილოეთ კორეაში ვიზიტით ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ ჩინელი ჩრდილოეთ კორეაში 14 წელია, არ ყოფილა, ხოლო ქვეყნის მეთაურის რანგში პირველად ჩავიდა. სი ძინპინს კიმ ჩინ ინმა გულთბილი დახვედრა მოუწყო. შეხვედრის დეტალები და შედეგები აზიურ ქვეყნებში ტრადიციულად, საიდუმლოდ რჩება. სავარაუდოდ, რუსეთში ვიზიტის, ბიშკეკში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის შემდეგ, ჩინეთი პოზიციებს სულ უფრო იმყარებს.

უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ, თავისივე შეფასებით, საფრანგეთსა და გერმანიაში არაფრისმომცემი ვიზიტები განახორციელა.

ამ დღეებში იაპონიაში გაიმართება „დიდი ოცეულის“ სამიტი, სადაც, სავარაუდოდ, გამოიკვეთება სამყაროს მომავლის კონტურები — პლანეტაზე ომი დაისადგურებს თუ მშვიდობა.

**გია ბურდული**
551 71 27 07





# სკამი

## პარლამენტის თავმჯდომარის სკამის მონოლოგი



... ეს კაცი დაჯდა თუ არა, იმწამსვე მივხვდი, რომ ეს არ იყო ჩემი პატრონის უკანალი.

ინტელიგენტი კაცი იყო ჩემი პატრონი და, სხვა ყველაფერთან ერთად, ცხადია, უკანალიც ინტელიგენტური ჰქონდა, ეს უკანალი კი ასე მოურიდებლად და უხეშად რომ ჩაეხეთქა ჩემში, აშკარად სხვაგვარი და სხვანაირი იყო.

კი, ამ სამი წლის განმავლობაში, პატრონის უკანალების გარდა, სხვა უკანალებიც ჩასვენებულან ჩემს წიაღში, მაგრამ ესენი მაინც ჩვენიანების უკანალები იყო და ამის გამო დიდად არც მწყინდა და არც ვაპროტესტებდი — ხუმრობდნენ, ანგლობდნენ რაღაცას და რატომ უნდა გავმრაზებულიყავი?

ჩემს პატრონს რომ სხვაგან დაიგულებდნენ, ხან მამუკა ჩასკუპდებოდა, ხან აჩი, ხან ვანო და ანრი — პარლამენტის თავმჯდომარეობანას თამაშობდნენ ბიჭები და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელს უკანალებს აზომებდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, შაყირში და ღადაობაში ხდებოდა.

— ამ სკამიდან რა სხვანაირად ჩანს ყველაფერიო, — იცინოდნენ ბიჭები, ცოტა ხანს წაიანგლებდნენ და თავიანთ სკამებს უბრუნდებოდნენ, ეს კი, ეს უკანალი, ისე ჩაებჯყა და ისეთი სიმძიმით დამაწვა, ცოტაც და, ფეხები მომემტვრეოდა.

— ვისია აი უკანალი? მომაშორეთ აქედან-თქო! — ვიყვირე, მაგრამ ხმა არავინ გამცა.

— ბატონო ირაკლი! ბატონო ირაკლი! სკამს გართმევს ვიღაც თავხედი. დროზე მოდი და დამიხსენი! — ვყვიროდი მთელი ხმით, მაგრამ ამაოდ — როგორც გაირკვა, ირაკლი ბაქოში იყო მივლინებით.

— სხვები სად არიან? მამუკა სად არის, აჩი სად არის, ანრი სად არის? — ვყვიროდი განწირული ხმით და ვხვდებოდი, სულ მალე ნაწილ-ნაწილ დავიშლებოდი.

— აჩის მუზა ესტუმრა და ტუალეტშია ჩაკეტილი. მამუკა დიდუბეშია, რაღაც საქმეებზე დარბის. ანრი ლექციაზეა, ვანო ეკას ემესიჯება და არ სცალია. — ჩამიჩურჩულა ჩემს გვერდით მდგარმა მეგობარმა სკამმა.

— აბა, ეს ამხელა პარლამენტი უპატრონოდ არის მიტოვებული? — ამოვიხავლე ძლივსძლივობით და მთელ ტანში საშინლად გამაჭრიალა.

— ასე გამოდის... თუმცა რატომ უპატრონოდ? ზაქარია ხომ არის აგერ? — მითხრა მეგობარმა და ქუცნაშვილზე მიმანიშნა, — ახლა ეგ არის აქაურობის უფროსი.

„აქაურობის უფროსი“ ზაქარია კი, იმის ნაცვლად, რომ ჩემთვის ეშველა, ჩემში ლოდივით ჩაჭედილ ამ უცხო უკანალს დაჰფოფინებდა თავზე და ცივ კოკა-კოლას და ბორჯომს უმარჯვებდა,

უკანალმა სესია რომ გახსნა, პირველივე წინადადებაზე მივხვდი, რა საშინელი უბედურება დაატყდა თავს ჩემს სამშობლოს — ეს უკანალი ოკუპანტის უკანალი იყო, რომელიც სხვა ჩვეულებრივი უკანალებისგან იმით განსხვავდება, რომ ერთი თუ მყარად დადო თავისი უკანალი, მერე იმის აწევას არც აპირებს.

— არა ოკუპაციას! — ვიყვირე მთელი ხმით, მაგრამ მართლმადიდებელი ქრისტიანების ცხარე დებატებში ჩემი ხმა არავის გაუგონია.

ცუდად გავხდი — როგორი ამბავია, ოკუპანტის უკანალი რომ გამხვია თავზე და თავისი მსუქან-მსუქანი დუნდულოებით რომ გთელავს და გაუპატიურებს.

უცებ ჩოჩქოლი ატყდა.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე ოკუპანტის დაჯდომას არ დავუშვებთ! — კიდოდნენ გაკაპასებული თინა და სალომე და ხან ქართულად, ხან ინგლისურად პროგრესულ მსოფლიოს აუწყებდნენ, თუ რა საშინელება მოხდა საქართველოში.

— საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე ოკუპანტმა როგორ გაბედა დაჯდომაო. ეს მთელი ქვეყნის შეურაცხყოფააო. სადემარკაციო ხაზმა პარლამენტში გადმოინაცვლა, ეს მთელი ქვეყნის ოკუპაციააო, — ისმოდა მრისხანე შეძახილები და ჩემს გარჩემო ჩემი დამცველების საიმედო წრე უფრო და უფრო ფართოვდებოდა.

ამასობაში ვიღაც დაჯდა სკამზე. ვერ გავარკვიე, ვისი უკანალი იყო — თინასი თუ სალომესი, მაგრამ ისე მესიამოვნა, ისეთი მშობლიური იყო, ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი, რომ გული ნეტარებით და ბედნიერებით ამევსო — მივხვდი, რომ გადავრჩი, მივხვდი, რომ საიმედო ხელში ვიყავი და საფრთხე არ მემუქრებოდა.

●

საღამოს 7 საათზე უამრავი ხალხი მოაწყდა პარლამენტს.

ყველა გამომსვლელი მე მახსენებდა — პარლამენტის თავმჯდომარის სკამი და პარლამენტის თავმჯდომარის სკამიო.

სიმართლე გითხრათ, თავიდან სიამაყემ შემიპყრო — პატარა ამბავი ხომ არ არის, მე, სკამი, ლამის მთელ ქვეყანასთან გამაიგივეს და ოკუპანტის უკანალის მიერ ჩემთვის მოყენებული პირადი შეურაცხყოფა მთელი ქვეყნის შეურაცხყოფასთან გააიგივეს.

— არ შევარჩენთ მტერს მაგ უტიფრობას, ათმაგად ვაზღვევინებთ ყველაფერსო, — მკერდზე მუშტებს იბრაგუნებდნენ პატრიოტი ქართველები და გაუმარ-ჯოოოს! გაუმარ-ჯოოოოს!-ო, სკანდირებდნენ.

როგორც ვთქვი, გული სიამაყით მევსებოდა, ამათ რომ ვუსმენდი, მაგრამ უცებ უცნაური მოწოდება ჩამესმა: — გამოვიტანოთ ეგ სკამი და საჯაროდ დავწვათო.




თავდაპირველად ვიფიქრე, ხომ არ მომეყურა-მეთქი, მაგრამ არა — დავწვათ ეგ სკამი, დავწვათო, — ყიჟინებდა ათასობით ადამიანი და ზედ მეორე მოწოდებას აყოლებდნენ — არა ოკუპაციას! არა ოკუპანტებს!-ო.

— კი, ბატონო, ოკუპაციას და ოკუპანტებს არა, მაგრამ მე რატომ მწვავთ, მე რას მერჩით-მეთქი, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

ოკუპანტი იჯდა მაგ სკამზე და უნდა დაიწვას აუცილებლადო, — არ ცხრებოდნენ ორატორები.

სკამი კი ვარ, მაგრამ მთლად უბრალო სკამი ხომ არ ვარ — ბოლოს და ბოლოს, პარლამენტის თავმჯდომარის სკამი ვარ და პოლიტიკაში ცოტა რამ მეც გამეგება.

მე რომ დამწვათ, ამით ოკუპაციას ეშველება რამე?

პარლამენტში შევიჭრათო, იძახდნენ მომიტინგეები.

თქვენ რომ პარლამენტში შეიჭრათ, ამის გამო ოკუპანტები წავლენ საქართველოდან?

ამ არჩევნებს პროპორციული სისტემით ჩავატარებთ თუ შერეულით, ოკუპანტს სულ ცალ ფეხზე არ ჰკიდია?

რაღაცას ურევთ თქვენ ერთმანეთში, ყმაწვილებო და ვერ ხვდებით, რომ იმით, რასაც თქვენ აკეთებთ, საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას უფრო აზარალებთ და აზიანებთ, ვიდრე მტერს და ოკუპანტს.

სკამი ვარ მე, პარლამენტში და პოლიტიკაში ყოფნის საკმაოდ დიდი სტაჟით, უკანალთმცოდნე, უკანალების პროფილით და ვიწრო სპეციალობით და, აქედან გამომდინარე, სკამის მაძიებელთა ფსიქიკას კარგად ვიცნობ.

სკამის მაძიებლები ხომ არ გიყენებენ თქვენ, ბიძიკოებო, საკუთარი ინტერესებისთვის, თქვენ კი თქვენი ახალგაზრდული ასაკის და თქვენი გამოუცდელობის გამო ვერ ხვდებით, რა არამზადებთან გაქვთ საქმე.

●

წუხელ დამლაგებელი მოვიდა და კუთხეში, ძველ, ჩამოწეერილ სკამებთან მიმაგდო...

მთელი ღამე კოშმარები მტანჯავდა — სულ ნაირ-ნაირი უკანალები მესიზმრებოდა — მოდიოდნენ რიგრიგობით და მეზომებოდნენ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისე, როგორც არ არსებობს ორი ერთმანეთის იდენტური თითის ანაბეჭდი, ასევე არ არსებობს ორი ერთმანეთის იდენტური უკანალი.

ყველა უკანალს თავისი ექსკლუზიური ფორმა და განუმეორებელი მოხაზულობა აქვს.

მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ უკანალის ფაქტორი ადამიანთა ურთიერთობაშიც საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს.

გაუცნობიერებლად, ქვეშეცნაულად, ინსტინქტების დონეზე ადამიანები ერთმანეთს სულიერად მონათესავე უკანალების მიხედვით ირჩევენ.

ასე იკვრება თურმე თანამოაზრეთა ჯგუფები, ასე იკვრება სამეგობრო წრე და, წარმოიდგინეთ, თვით პოლიტიკური პარტიებიც კი.

სულ არ მიკვირდა, ამ „ნაციონალებს“ რავა ერთნაირი უკანალები აქვთ-მეთქი.

მიშას გრიშას, უგულავას, ბარამიძეს, ბოკერიას, ბაქრაძეს, პატარა ვაშაძეს, სხვებს და სხვებს ერთნაირი მოხაზულობის უკანალები აქვთ, რაც მათ შორის არსებულ უხილავ სულიერ ნათესაობაზე მეტყველებს.

ასე რომ, სანამ ვიღაცების უკანალებს გაეკიდებით, კარგად აწონ-დაწონეთ, კარგად დაფიქრდით — ღირს კი ამათთვის ბრძოლა და ენერგიის ხარჯვა?

აი, ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ჩემო ძვირფასებო, ახლა კი დამწვით, თუ ასე ძალიან გინდათ, რა პრობლემაა, მე კი არა, ჯორდანო ბრუნო დაწვეს...







საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983